ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 მაისი 2004 №112 (2131) | ფასი 50 თეთრი


# შფალო, შეგვიწყალე!

## დღეიდან ქართულ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება




გუშინ დილმის ბაზის საპრესკონფერენციო დარბაზში დასრულდა სერიალი, რომელიც 9 მაისს დაიწყო როგორც დრამა, გაგრძელდა როგორც ბოევიკი, იქცა დეტექტივად და დასრულდა ფარსად.

ნებისმიერი მექსიკელი რეჟისორი თავის მდარე სერიალს უკეთეს ფინალს მოუძებნიდა.

გუშინ „დინამომ“ და „თბილისმა“ ერთობლივ პრესკონფერენციაზე თქვეს, რომ მსაჯის დაშინებასთან დაკავშირებული კონფლიქტი არც ყოფილა, რომ მათ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ, ძმები არიან და ასე შემდეგ. თქვეს, რომ მთელი ეს ისტორია მესამე ძალის მიერ ყოფილა მოწყობილი.

ალბათ უნდა აღვშფოთდეთ და ამ მესამე ძალის წინააღმდეგ გამოსვლები დავიწყოთ. მაგრამ, გვაპატიონ „დინამომ“ და „თბილისმა“, თუ ასე ვერ ვიზამთ იმ უბრალო მიზეზით, რომ მისტიკური მესამე ძალის არსებობისა არ გვჯერა.

სამაგიეროდ, ამ პრესკონფერენციამ დაგვაჯერა, რომ რეპუტაციის გადარჩენის მიზნით კლუბებს შორის გარიგება მოხდა და სწორედ აქამდე ნაყენებული ბრალდებების გასაქარწყლებლად მოინახა ეს მესამე ძალა, რომელსაც რასაც გინდა დააბრალებ — პასუხს გაგცემს თუ რა.

და ერთი კითხვაც — საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ბევრჯერ გაჩნდება ეჭვი თამაშების ჩაწყობაზე, მოქრთამვასა და დაშინებაზე. კლუბები კიდევ ბევრჯერ დაიწყებენ ყვირილს, მგელი, მგელიო და როგორ უნდა მოიქცნენ ამ დროს ჟურნალისტი და გულშემატკივარი? ჯერ დაიჯეროს, მერე კი მესამე ძალაზე მისტიკური ისტორიები მოისმინოს თუ თავიდანვე ის ძველი იგავი გაიხსენოს?

სინდიკატი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რამდენიმე სუბიექტის გაერთიანებას, რომელიც იქმნება ხანმოკლე დროით რაიმე ოპერაციის ერთობლივად ჩასატარებლად.

ჩვენ შემთხვევაშიც ხანმოკლე გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, რომელიც პრესკონფერენციის ერთობლივად ჩასატარებლად შეკონინდა. ზოგადად კი, სინდიკატი, რომელიც ქართულ ფეხბურთშია შექმნილი, დიდია და რამდენიმე წევრისგან შედგება — მასში გაერთიანებულა თითქმის ყველა: მსაჯი, მწვრთნელი, ფეხბურთელი, კლუბის მესვეური თუ ფეხბურთის რაგინდარა მოხელე...

გუშინდელი სინდიკატი ძალიან პრიმიტიული გახლდათ. გაერთიანებამ საქმეს ოდენ ფორმალურად გაართვა თავი — ლონისძიება ჩატარდა, მაგრამ მისი შედეგი სინდიკატისთვის ნულია, ხოლო ქართული ფეხბურთისთვის სავალალო — სინდიკატი საზღვრებს გარეშე.

...კოლინ პაუელი, რიჩარდ მაილსი, ჯორჯ სოროსი და იგორ ივანოვი თუ არ დაგვეხმარებიან, ცუდადაა საქმე — ჩვენი ძალებით სინდიკატი დაუშლელია, მხოლოდ სპორტული მასმედია მის წინააღმდეგ უძლურია.

გუშინდელი სინდიკატის მთავარი შემკონინებელი კი მეწველი ძროხა უნდა იყოს, თორემ ქალიშვილივით შეურყვნელი მკერდი, აბა, რომელ სინდიკატორს აქვს?!

## თბილის — დინამოს სკანდალის მერე გაჩენილი უამრავი კითხვიდან დარჩა ერთი:

# თქვენ ხალხი სულელი ხომ არ გგონიათ?!

# ...და ჩნდება სხვა კითხვაც

## თუ ძალაა და, ვინ და რომელია, ასე რომ მოარიგა და შააბადრა ერთმანეთს გუშინდელი მტრები?

1993 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ „მარსელს“ ფავორიტად არავინ თვლიდა, მაგრამ მაშინ ხომ დავამარცხეთ „მილანი“— გაიხსენა გუშინ ფრანგული გუნდის მწვრთნელმა ჟოზე ანიგომ გიოტებორგში, სადაც დღეს უეფას თასის ფინალში „მარსელი“ ესპანეთის ახალგამომცხვარ ჩემპიონს, „ვალენსიას“ შეხვდება. „მარსელის“ გამარჯვებისა ბევრს არც ახლა სჯერა, ფრანგთა თავკაცის მთავარი იმედი კი დიდიე დროგბაა. გავიხსენოთ, რომ სწორედ კოტდივუარელის გოლების წყალობით უწია „მარსელმა“ ფინალს. ანიგოსგან განსხვავებით, დიპლომატიურად ილაპარაკა „ვალენსიას“ მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა — „მარსელი“ ძლიერი გუნდია და ფრთხილად უნდა ვიყოთო. მერე კი წაიოცნება, პრიმერადივიზიონის მოგების შემდეგ უეფას თასი ისე დაგვამშვენებს, როგორც ტორტს მარწყვიო.





რაფაელ ბენიტესი ქოზე ანიგოს მთავარ იმედს, დიდიე დროგბას ძალიან უფრთხის

UEFA CUP

# დღეს მარწყვივით ფინალია

## მარსელი VS ვალენსია

# აფვმფვჭთა მტვფყთმტ გვფთხ ტყვ შთწფ

## გაუგებარია, რა უნდა დაარქვა ამ მართლა გაუგებრობას




*11 მაისს აგორებული სკანდალი გუშინ დილომის ბაზაზე უცნაურად დასრულდა. „დინამომ" პრესკონფერენცია მოაწყო და სიურპრიზიც დაგვახვედრა. დილომში მასპინძელთა გარდა „თბილისის" პრეზიდენტი ნიკოლოზ დოლიძე და კლუბის დამფუძნებელთაგანი მამუკა გუგეშაშვილი გამოჩნდნენ.*

*პრესკონფერენციის თემაც უმალ გაცხადდა და მისი ლაიტმოტივიც ასეთი იყო: ჩვენ გასაყოფი რა გვაქვს?!*

*პრესკონფერენციამ უშუალო მიზანი მაინც ვერ შეასრულა და უამრავი კითხვის ნიშანი დაგვიტოვა. თუმც, სჯობს, კლუბების მესვეურთა ნაუბარიდან დასკვნები თავად გააკეთოთ*

*დავით პეტრიაშვილი, „დინამოს" მმართველი დირექტორი:* ჩვენი შეხვედრის მიზანია, წერტილი დაესვას იმ ეგრეთ წოდებულ სკანდალს, რომელიც ორ კლუბს შორის აგორდა. „დინამოს" და „თბილისს" სადავო არაფერი აქვთ, პირიქით, ჩვენს შეხედულებებში ბევრი საერთოა. „დინამოს" „თბილისთან" ცივილური ურთიერთობა სურს. ერთმანეთის მიმართ საპრეტენზიო არაფერი გვაქვს. ვფიქრობ, ამ სკანდალით ორივე გუნდმა საკმაოდ იზარალა, რაც გუშინწინდელ ტურშიც კარგად გამოჩნდა.

*ნიკოლოზ დოლიძე:* მომხრე ვარ, ჩვენს კლუბებს შორის ცივილური ურთიერთობა იყოს. უკომპრომისო ბრძოლა მხოლოდ მოედანზე შეიძლება. სხვა მხრივ ურთიერთობების დაძაბვა არ გვსურს. ეს ხომ ქართულ ფეხბურთსაც ავნებს. „თბილისი" ფეირ პლეის პრინციპს ბოლომდე დაიცავს და ჩემპიონატს პატიოსნად ჩავამთავრებთ.

*დავით პეტრიაშვილი:* ეს სკანდალი ისე სწრაფად აგორდა, რომ ჩვენ „თბილისის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ, არადა, ეს მართლაც სასურველი იყო, რათა ყველა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეს ყველაფერი გაუგებრობა იყო. ჩვენი თბილისში ჩამოსვლის დღეს ალმასკომის სხდომა უკვე დანიშნული იყო და ვერაფერს შევცვლიდით.

*ნიკოლოზ დოლიძე:* არბიტრი კახა მესხი ფედერაციაში მივიდა და იქ დააფიქსირა მასზე ზეწოლის ფაქტი. ფედერაცია კი ვალდებული იყო, რეაგირება მოეხდინა. ჩვენამდე მსაჯი არ მოსულა და არ უკითხავს, რას ფიქრობთო.

*მამუკა გუგეშაშვილი:* ჩვენი პოზიცია ცალსახა იყო, სანამ „დინამოს" ხელმძღვანელობას არ შევხვდებოდით, მკვეთრი განცხადებები არ უნდა გაგვეკეთებინა. ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მესხი ცრუობდა, უფრო სწორად, სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა. თამაში სუფთად, საფეხბურთო წესების დაცვით წავაგეთ. თუმცა ახლავე ვხდები, რა მიმართულებით მიდის ეს ბინძური თამაში. ჩემპიონატის გამარჯვებულს უეფასგან 150 ათასი შვეიცარიული ფრანკი ერგება. ეს მაქინაციებიც ამ თანხის გამო ტრიალებს. მიდიან კლუბებთან და ეუბნებიან, ჩემპიონობა 30 ათასი დოლარი ღირსო, იოლი არითმეტიკაა, მერე გამარჯვებული გუნდი 150 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ასეთი ხალხი ჩვენს ფეხბურთში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს. უნდა შეიცვალოს ჩემპიონატის ჩატარების დღევანდელი მოდელიც, ვინაიდან ზეექვსეულში მოხვედრა ძალიან იაფი ჯდება, სამაგიეროდ, საკმაოდ ძვირია შემდგომი ვაჭრობა.

*ნიკოლოზ დოლიძე:* ცაცა შელიას ჩვენ ალმასოკმზე ჩამოსვლას ვერ დავაძალებდით. თუმცა გვპირდებოდნენ, რომ ჩამოვიდოდა.

*მამუკა გუგეშაშვილი:* ცაცა შელიას დაინტერესებაც საკმაოდ მარტივი გასაშიფრია და მან ერთ-ერთ თავის ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ სოფლიდან ჰყავდა ჩამოყვანილი ბავშვი და ის „დინამოს" საფეხბურთო სკოლაში თამაშობდა. მან მუქარის მიზნით თავისი ინიციატივით დარეკა, შემდგომ „დინამოს" ხელმძღვანელობას ეტყოდა, აი, მე რა გავიკეთეთო, თუმცა ეს ჩემი ვარაუდია.

ამის შემდეგ „თბილისის" ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია დატოვეს და საკლუბო სიახლეებსა და „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხზე *დავით პეტრიაშვილმა* ილაპარაკა: „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. იცით, „დინამო" კიევში იყო და ალბათ ფედერაციისგან უფრო დაჟინებით უნდა მოგვეთხოვა თამაშის გადადება. ბიჭები გადაიღალნენ. ვაღიარებ, აქ შეცდომა დავუშვით. მიუხედავად მარცხისა, გია გეგუჩაძეს სრულად ვენდობით. ჩვენს წინაშე ძნელი ამოცანა დგას, მით უმეტეს, ჩვენ ახალი გუნდის შენება დავიწყეთ.

— სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელები ორ კვირას დაისვენებენ. 8 ან 9 ივნისს დაგეგმილი გვაქვს ამხანაგური მატჩი ბაქოს „ნეფთჩისთან" 15 ივნისს კი, გადაწყვეტილია, სომხურ „პიუნიკს" ვეთამაშებით. 22-ში გუნდი გერმანულ რუიტში წავა 15-დღიან შეკრებაზე. გერმანიაში ხუთ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ, სამი სპარინგ პარტნიორის ვინაობა უკვე ცნობილია — შვეიცარიული „ბაზელი" და „იანგ ბოისი", გერმანული „კარლსრუე".

**დავით ერაძე**

# გუჩუა ირანის არმიის ბატარეებს კარგად ტენის

*ირანის ჩემპიონატი დამთავრდა და შარშანდელმა ჩემპიონმა, ისპაჰანის „სეპაჰანმა" ის მეექვსე ადგილით ჩაამთავრა. სეპაჰანელთა მცველმა ჯაბა მუჯირმა სეზონი სრულად ითამაშა, ძირითადში მოხვედრის პრობლემა მას არ ჰქონია, თუმც ჯერაც უტიტულოდაა...*

— ახლა ირანის თასზე ვართ გადართულნი. მერვედფინალში მეორე ლიგის გუნდს ვხვდებით და მეოთხედფინალში გასვლა არ გაგვიჭირდება. თასის გათამაშება კი ერთ თვეში დამთავრდება.

— აზიის ჩემპიონთა ლიგაზეც ხელი მოგვეცარა. საემიროების „ალ იტიჰადმა" ქუვეითურ „ალ არაბისთან" ქულები დაკარგა, ახლა ჩვენც და „ალ იტიჰადსაც" ათ-ათი ქულა გვაქვს, მაგრამ ჯგუფური ეტაპი ერთ ტურში მთავრდება და ბურთების უკეთესი სხვაობით ემირელებს ვერ გადავასწრებთ — „ალ იტიჰადი" ბოლო ტურში ჯგუფის აუტსაიდერს, უზბეკეთის „ნეფთჩის" მასპინძლობს.

— რაც შეეხება ვალტერ გუჩუას, მისი „საბა ბატერი" მეორედან პირველ ლიგაში გადმოვიდა. გუჩუამ სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა, ხანდახან გამთამაშებლადაც ათამაშებდნენ და რამდენიმე გოლიც გაიტანა. „საბა ბატერი" სერიოზული გუნდია, ძალიან მდიდარი. კომპანია „საბა ბატერი" ავტომანქანების აკუმულატორებს აწარმოებს, მაგრამ ირანში ყველამ იცის, რომ ეს ფირმა ირანის არმიასთანაც თანამშრომლობს და სამხედრო ნაწარმსაც უშვებს, „საბა ბატერის" პრეზიდენტს კი ექვსშეიდკაციანი დაცვა დაჰყვება.

**დავით თავართქილაძე**

*მაშინ, როცა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში ჩემპიონატი დამთავრებულია და ფეხბურთელები შვებულებაში არიან, ჰოლანდიურ „ტვენტეს" და გოგა გახოკიძეს 23 მაისს, შეიძლება ითქვას, სეზონის მთავარი მატჩი ელით — თასის ფინალი.*

*ჰოლანდიის ჩემპიონატი წინა უქმეებზე დამთავრდა. „ტვენტემ", სადაც გოგა გახოკიძემ კარიერის ერთ-ერთი წარმატებული სეზონი ჩაატარა, ჩემპიონატი მე-8 ადგილზე ჩაამთავრა. ჩვენიანს და მის გუნდს მეტიც შეეძლო, თუმც როცა თავი თასის ფინალში დაიგულეს, ჩემპიონატს ყურადღება მოაკლეს და ბოლო თვეა, ფინალში „უტრეხტთან" სათამაშოდ ემზადებიან.*

# უეფას უტრეხტი იძლევა

## გახოკიძეს როტერდამში 20 ათასი მიჰყვება




— „ტვენტემ" ჩემპიონატი მაშინ დაამთავრა, როცა თასის ფინალში გავიდა. ორი-სამი კვირაა ჩვენ მხოლოდ „უტრეხტთან" მატჩზე ვფიქრობთ და განსაკუთრებულად ვემზადებით. სეზონის დაწყებამდე ჩვენი მიზანი უეფას თასზე თამაში იყო და ახლა, ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ თასის მოგება დაგვრჩა.

— ჩემპიონატი რატომ ჩააგდეთ?

— ჩემპიონატი გუნდისთვის მეორეხარისხოვანი გახდა და აქცენტი ფინალზე გავაკეთეთ. არავის უთქვამს მხოლოდ თასი გვაინტერესებსო, თუმც ქვეცნობიერად, ჩვენს გონებაში, მაინც „უტრეხტია".

— ენსხედე ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადებაო...

— ფინალი როტერდამში კვირასაა და ჩვენი ქომაგებისთვის გამოყოფილი 20 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. ენით არ აღიწერება ის ვითარება, რაც ბოლო ორი-სამი დღეა ქალაქში, ხალხი უკვე საზეიმოდ ემზადება.

— ნაადრევი ხომ არაა?

— რა გითხრათ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თასს თუ მოვიგებთ, აქ ერთკვირიანი ზეიმი იქნება. სეზონის დამთავრებაც ხომ უნდა ავღნიშნოთ.

— „უტრეხტი" სათასო გუნდად რომ ითვლება, ეს არ გაშინებთ? რამდენიმე წელია ეს გუნდი ფინალშია.

— რატომ უნდა გვეშინოდეს?! 2000 წელს, „ტვენტეც" იყო ფინალში და პსვ-ს მოუგო, სადაც მაშინ ვთამაშობდი. მართალია „უტრეხტმა" შარშან ფინალში „ფეიენოორდს" აჯობა, მაგრამ ეს ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. „ტვენტე" მოსაგებად ემზადება და, სხვათა შორის, ჰოლანდიური მასმედიის აზრითაც, უპირატესობა „ტვენტესია".

— ჩემპიონატის ბოლო მატჩებში „ტვენტე" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა...

— მწვრთნელი ტრავმირებულ ფეხბურთელებს უფრთხილდებოდა. ბოლო ტურში, „ჰერენვენთან", უძლიერესი შემადგენლობით შეგვეძლო თამაში, მაგრამ მწვრთნელმა გართულებების ასარიდებლად რამდენიმე მოთამაშე დაასვენა. 23 მაისს „უტრეხტთან" კი ნაღდად უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ.

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი

I დივიზიონი
პლეი ოფი

ვესტ ჰემი 2:0 იფსვიჩი

### შვედეთი

ალსვენსკა
VIII ტური

იურგორდენი 1:2 გიოტებორგი

### ჩეხეთი

თასის ფინალი

სპარტა 2:1 ბანიკი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XXXI ტური

პეტრჟალკა 0:0 ბისტრიცა
რუჟომბეროკი 2:1 სლოვანი
ტრენჩინი 0:0 პუხოვი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XXV ტური

დინამო 2:0 მ. ზაპოროჟიე

### პოლონეთი

თასის ფინალი

ლეხი 2:0 ლეგია

საქართველოს 15 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე

## 26 ტური

### გადადებული მატჩები

**ქობულეთი 1:1 დინამო 2**

**ივერია 6:1 ლუკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 28 | 17 | 4 | 7 | 51:27 | 55 |
| სამგურალი | 28 | 15 | 7 | 6 | 34:18 | 52 |
| დინამო 2 | 28 | 15 | 5 | 8 | 67:31 | 50 |
| რუსთავი | 28 | 15 | 3 | 10 | 44:29 | 48 |
| მილანი | 28 | 14 | 6 | 8 | 36:25 | 48 |
| ოლიმპი | 28 | 13 | 7 | 8 | 36:31 | 46 |
| ჩიხურა | 28 | 13 | 5 | 10 | 35:26 | 44 |
| ცხინვალი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:23 | 43 |
| გურია | 28 | 12 | 6 | 10 | 35:34 | 42 |
| თსუ | 28 | 11 | 8 | 9 | 45:28 | 41 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 28 | 11 | 8 | 9 | 29:20 | 41 |
| ამერი | 28 | 11 | 7 | 10 | 31:23 | 40 |
| ივერია | 28 | 11 | 6 | 11 | 28:36 | 39 |
| ლოკომოტივი 2 | 28 | 6 | 1 | 21 | 21:74 | 19 |
| ლუკა | 28 | 5 | 1 | 22 | 28:73 | 16 |
| მეტალურგი | 28 | 2 | 1 | 25 | 18:83 | 7 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა · საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი 15 ლიგა · მეორე ეტაპი

# 9 ტური

შედეგები

დინამო 1:3 ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი 1:1 თბილისი
სიონი 2:0 დილა
სპარტაკი 7:1 მერცხალი
მცხეთა 1:0 ბათუმი
კოლხეთი 2:1 ტორპედო






# უჭოგრიტო ქვრიტინი

## ლოკომოტივზე ბევრი ჰკიდია

რას ხედავს „ლოკომოტივის" მზემოჭყიტინე სარდლობა? ზაურ სვანაძე, მისი თანაშემწე თემურ ჩხაიძე და მთლიანად „ლოკომოტივი" უაღრესად მნიშვნელოვანი გუნდი შეიქნა. ამ ტურში რკინიგზელებმა ორი ქულა აართვეს „თბილისს", ხოლო ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრებიან. „ჩვენ არავის არაფერს დავუთმობთ" — ასე დაიქადნა „თბილისთან" ნამატჩევს „ლოკომოტივის" თავკაცმა სვანაძემ და ჩემპიონობისთვის შემართულ ვიტელებს ჟინიანი რკინიგზელების ძლევა ალბათ გაუჭირდებათ.

არც სვანაძეს და არც სხვას სჭირდება ჭოგრიტი, რათა ბოლო ტურში „ლოკომოტივის" ფასი დაინახოს — ამ გუნდზე ახლა ბევრი რამ ჰკიდია. აქვე დავძენთ, რომ მეორე ეტაპზე „ლოკომოტივმა" „დინამოს" ოთხი ქულა დააკარგვინა.


თემურ ჩხაიძე და ზაურ სვანაძე

# კოჭლაშვილის მვრიკა

## ვიტ ჯორჯიამ დინამო გაჯორჯა

„დინამოს" სისხლი გაუშროო, სწორედ „ვიტ ჯორჯიაზე" ითქმის. ბოლო წლებია, ვეტერინარებს სახელოვანი თანაქალაქელები, რომ იტყვიან, გამოჭერილები ჰყავთ და ისეთ ქულებს აკარგვინებენ, ოქროს ფასი რომ აქვს. წლეულსაც, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „ვიტ ჯორჯიამ" „დინამოს" შინაც მოუგო და სტუმრადაც. „დინამოს" რომ ეს ქულები არ დაეკარგა, უკვე ჩემპიონი იქნებოდა.

„ვიტ ჯორჯიასგან" „დინამოს" გვემაზე როცა ვლაპარაკობთ, აუცილებლად გასახსენებელია ისიც, რომ ჩემპიონებს შინ, „ეროვნულზე" ყველაზე საშინელი მარცხი სწორედ „ვიტ ჯორჯიამ" აგემა — 5:2. სულ კი ვეტერინარებს „დინამოსთვის" „ეროვნულზე" სამჯერ მოუგიათ.

# არ გეწყინოს, დათო



ბოლნისელთა მარცხენა მცველი დავით ბაქრაძე პირველ ტაიმში იერიშებში ხშირად ერთვებოდა. მონდომებულმა მცველმა ტაიმის მიწურულს მეტოქის ნახევრიდან საკუთარ ნახევარზე დაბრუნება დააგვიანა და მისი ზონა ცარიელი დარჩა, რისთვისაც კაპიტან იური გაბისკირიასგან ხუმრობანარევი საყვედური მიიღო — თავი რობერტო კარლოსი ხომ არ გგონია, დაცვას მიხედეო.





# ლოკომოტივთანაც ეგრე გეყვირა



პირველი გოლის გატანამდე „სიონი" ნერვიულობდა და ხეირიანი შეტევა არ გამოსდიოდა. ამის შემყურე მასპინძელთა მწვრთნელი თემურ მახარაძე სკამიდან წამოდგა და შეგირდებს დაუცაცხანა. მავანმა დალოცნებულმა ქომაგმა კი ტრიბუნიდან მწვრთნელს დაუძახა — „ლოკომოტივთანაც" რომ ასე გეყვირა, ახლა ჩემპიონები ვიქნებოდითო.

# 0 — იმედი და სინამდვილე — 90



# ერთი ტაიმის რეკორდი

საგაზაფხულო ეტაპის მე-9 ტურში ერთი რეკორდული შედეგიც გამოერია. აუტსაიდერების, თბილისის „სპარტაკისა" და ოზურგეთის „მერცხალის" შეხვედრის მეორე ტაიმში 8 (!) გოლი გავიდა — მასპინძლებმა 7:1 მოიგეს. ასეთი მაჩვენებელი წლევანდელ ჩემპიონატში არ ყოფილა და ძნელად სავარაუდოა, ბოლო ტურში რაიმე განსაკუთრებული მოხდეს.




რევაზ გოცირიძე

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 18 | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 17 | გონჩაროვი | სიონი |
| | დავითაშვილი | თბილისი/ტორპედო |
| 12 | ახალაია | დინამო |
| 11 | კაკალაძე | ბათუმი/დინამო |

### I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:5 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 9:3 | 38 |
| დინამო | 9 | 3 | 3 | 3 | 13:9 | 37 |
| თბილისი | 9 | 3 | 5 | 1 | 12:7 | 32 |
| ლოკომოტივი | 9 | 1 | 5 | 3 | 6:10 | 25 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 1:20 | 19 |

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 34 |
| კოლხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 30 |
| მცხეთა | 9 | 5 | 3 | 1 | 8:3 | 28 |
| ბათუმი | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 25 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:8 | 21 |
| მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:21 | 6 |

### სიმბოლური ნაკრები

რევაზ გოცირიძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
ლაშა ჩხაიძე — მცხეთა
არჩილ სახვაძე — ლოკომოტივი
ოთარ მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია
როინ ონიანი — სიონი
ლაშა ნოზაძე — ვიტ ჯორჯია
ლაშა სალუქვაძე — ლოკომოტივი
ალექსანდრე ინწკირველი — ვიტ ჯორჯია
დავით ბაქრაძე — სიონი
აკაკი დევაძე — სპარტაკი

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

### ბოლო ტური

| 22 მაისი, შაბათი | 22 მაისი, შაბათი |
|---|---|
| დილა – დინამო | მერცხალი – მცხეთა |
| ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი | ბათუმი – კოლხეთი |
| თბილისი – სიონი | ტორპედო – სპარტაკი |

# კბილებით გასაწევი მატარებელი

## ფული ბურთს ვერ აჯენწლავს

*თბილისური „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილა. ვეტერინარებმა გუშინწინ, ბოლოსწინა ტურში, „დინამო" მისსავე მოედანზე დაამარცხეს და ფაქტობრივად საჩემპიონო რბოლას ჩამოაშორეს. ჯორჯიელთაგან კი ყველაზე მეტად გიორგი ადამია და რევაზ გოცირიძე გამოირჩნენ, რომლებიც გუშინ რედაქციაში გვესტუმრნენ...*



— რა ხდებოდა გუნდში „დინამოსთან" მატჩის წინ, ელოდით, რომ ასე იოლად მოიგებდით?

*გიორგი:* ძალიან მონდომებულები ვიყავით. ფრეს და წაგებას ჩვენთვის ერთი ფასი ჰქონდა, ჩემპიონობისთვის ველარ ვიბრძოლებდით. მგონი, მესამე ადგილიც სანატრელი გვექნებოდა. ამიტომ ყველამ ვთქვით, რაც შეგვიძლია, მოედანზე უნდა დავდოთო. როგორც ნახეთ, ასეც იყო. უკან არ დაგვიხევია და „დინამოც" დავამარცხეთ. ეს ჩვენი შანსი იყო და ძალიან მიხარია, რომ ხელიდან არ გავუშვით, თუმცა ახლა „ლოკომოტივიც" დასამარცხებელი გვყავს. ჩემპიონობას ჯერ არ ვზეიმობთ.

*რეზო:* მჯეროდა, რომ მოვიგებდით, მაგრამ ასე იოლად თუ შევძლებდით ამას, არ მეგონა. ფსიქოლოგიურად კარგად ვიყავით მზად და ერთმანეთის იმედი გვქონდა.

— „ვიტ ჯორჯია" ადრეც, შარშანწინ და შარშანაც ყოფილა ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, მაგრამ ბოლო ტურებში მთელი წლის ნაჯაფს წყალში ყრიდა...

*რეზო:* ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილა. წინა წლებში ან სამი ტურით ადრე ვკარგავდით შანსებს, ან უფრო ადრე. ახლა კი ერთადერთი თამაში დაგვრჩა და თუ მოვიგეთ... თუ კი არა, „ლოკომოტივი" უნდა წავაქციოთ. ჩვენ ჩემპიონობისთვის მზად ვართ.

*გიორგი:* მაშინ „ვიტ ჯორჯია" მომწიფებული არ იყო და ბოლო ტურებშიც გამოუცდელობამ დაგვალალატა. სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ. მგონი, ახლა ყველაფერი საჩვენოდაა. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება უკვე აღარ შეიძლება.

— „დინამოსთან" „ეროვნულზე" 5:2 მოიგეათ. ალბათ იმ მატჩსაც იხსენებდით მოედანზე გასვლის წინ...

*გიორგი:* 5:2-ის გარდა „ეროვნულზე" 1:0-იც მოვუგეთ „დინამოს". ასე რომ, განწყობა მართლა იმედიანი მქონდა. საერთოდ, „დინამო" ხშირად დაგვიმარცხებია და ამით ძალიან ვამაყობ.

— დინამოელები „ვიტ ჯორჯიას" უხერხულ მეტოქედ მიიჩნევენ. თქვენთვის რომელია ასეთი გუნდი?

*გიორგი:* „დინამოც" და სხვებიც. რა ვიცი, თამაშს სერიოზულად თუ არ მოეკიდე, ყველა გუნდი უხერხული იქნება. ისე, „ლოკომოტივი" ერთ-ერთი პირველია ასეთთა სიაში.

— რა გერჩივნათ, ბოლო ტურში უმოტივაციო და თან თქვენთვის უხერხულ „ლოკომოტივს" შეხვედროდით თუ, ვთქვათ, ჩემპიონობისთვის მებრძოლ რომელიმე კონკურენტს?

*გიორგი:* მაგას უკვე აზრი არა აქვს. სულ ერთია, ვის შევხვდებით. გინდა „ლოკომოტივი" იყოს და გინდა „დინამო" ან „სიონი". ჩვენ ერთადერთი რამ ვიცით: ბოლო მატჩი უნდა მოვიგოთ. სხვა არ გვაინტერესებს.

*რეზო:* მეც იგივეს ვფიქრობ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნებოდა ჩვენი მეტოქე. მოსაგები უნდა მოვიგოთ.

— ბევრს ლაპარაკობენ ვიტჯორჯიელთა თბილ ურთიერთობაზე. საქართველოში ძმაკაცობა და ახლობლობა არავის უკვირს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ამ მხრივ რატომღაც ყურადღება მიიქცია. მაინც რა ხდება ამ გუნდში ასეთი?

*გიორგი:* განსაკუთრებული არაფერი, როგორც ყველგან, ისეა ჩვენთანაც. ალბათ დიდი ხანი ერთად რომ ვართ, ამან უფრო შეგვკრა და მიხარია, რომ ამას სხვებიც ხედავენ. ჩვენ თითქმის ერთნი ვართ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ მე, რეზო, დეკანოსიძე, ინწკირველი... მართლა ძალიან მეგობრული გუნდი გამოგვივიდა...

— რეზო, შენ „ვიტ ჯორჯიაში" სეზონის წინ დაბრუნდი, მაგრამ უცხო გარემოში რომ არ მოხვდებოდი, თავიდანვე ცხადი იყო...

— ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. „ვიტ ჯორჯია" ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მართალია, შარშან რუსთავის „გორდაში" ვთამაშობდი, მაგრამ ძველ თანაგუნდელებს თითქმის ყოველდღე ვნახულობდი.

— სეზონის წინ გუნდი დატოვა ლევან მელქაძემ, ვინც „ვიტ ჯორჯიას" მთავარი ბომბარდირი იყო. შენც ამ დროს დაბრუნდი და უკვე 19 გოლი გაიტანე. ფიქრობდი, რომ მელქაძეს სრულფასოვნად შეცვლიდი?

— საკუთარი თავის ყოველთვის მჯეროდა. მგონი, ხელმძღვანელობის იმედებიც გავამართლე.

— მაგრამ იმდენი ხელსაყრელი მომენტი გაგცუდებია, რომ...

— მაგას ნულარ გამახსენებ. მართლა ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენე. თუმცა ვგრძნობ, რომ იღბალი ახლა ჩემს მხარესაა და ბოლო ორ მატჩში სამი გოლიც გავიტანე.

— ბოლოხანს ძალიან ბევრი ლაპარაკია ჩაწყობასა თუ მიცემაზე. იმასაც ამბობენ, ორი გუნდის თამაშში მავანი მესამე ძალაც გვარიან სიტყვას ამბობსო. „ლოკომოტივთან" ამგვარ საშიშროებას ხომ არ გრძნობთ?

*გიორგი:* მაგისი არ გვეშინია. ბოლოს და ბოლოს, ფული ხომ არ თამაშობს?! რა ვიცი, მეტი რა ვთქვა... სჯობს, ამ თემაზე საერთოდ არ ვიფიქრო და მოედანზე მოსაგებად გავიდე.

*რეზო:* მოედნის გარეთ რა ხდება, ჩვენი საქმე არაა, არ მაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ ახლა ყველაფერი ჩვენს ხელშია და შეგვიძლია, საკუთარ თავს თავადვე მივუძღვნათ საჩუქარი.

— გიორგი, შარშან ტრავმის გამო ძალიან ბევრი გაგიცდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მანამდე საშინლად გადაღლილიც იყავი. „ზოგი ჭირი მარგებელი" ხომ არ გამოვიდა?

— ტრავმა მარგებელი არასოდესაა, მაგრამ, მგონი, რაღაცაში მართლა „შემეშველა". მანამდე 3-4 წელი დასვენება რა იყო, არ ვიცოდი. ამ ტრავმამ კი 5 თვე გამაცდენინა. მერე ძალებიც აღვიდგინე და დავბრუნდი. ისე, არ მეგონა, ასე სწრაფად თუ შევიდოდი ფორმაში.

— „ვიტ ჯორჯიას" რაღაც განსაკუთრებული სატრანსფერო სისტემა აქვს. წამსვლელთა შორის შენი რიგი როდის იქნება?

— თუ სერიოზული წინადადება გამოჩნდა, სიამოვნებით წავალ, მაგრამ ამაზე ფიქრი ახლა ნაადრევია. ჩემპიონატი დამთავრდეს და მერე უფრო მშვიდად გადავწყვეტთ ყველაფერს.

— რეზო, გახდები ჩემპიონატის ბომბარდირი?

— ჯერ კი ვარ პირველ ადგილზე, მაგრამ... რა ვიცი, ბომბარდირობა ძალიან მინდა და ვნახოთ, რა მოხდება ბოლო ტურში. ისე, დავითაშვილს და გონჩაროვს თითო გოლით კი ვუსწრებ, მაგრამ ვთვლი, რომ დავითაშვილს მაინც მეტი შანსი აქვს.

— ეს სეზონი შენთვის ალბათ იმითაცაა წარმატებული, რომ ალენ ჟირესმა ნაკრებში მიგიწვია...

— ძალიან გამიხარდა, მაგრამ თან მოულოდნელი იყო, ჟირესმა რომ გამომიძახა. ის დღე არასოდეს დამავიწყდება.

— გიორგი, შენ რას იტყვი, ნაკრებზე არ ფიქრობ?

— როგორ არ ვფიქრობ. იმედი მაქვს, როდესმე მეც ვითამაშებ ნაკრებში. ეტყობა, ჯერ არ ვარ მზად და ჟირესმაც ამიტომ არ მიმიწვია. ნაკრები ჩემთვის ჯერჯერობით საოცნებოა.

— როგორი იქნება ჩემპიონატის საპრიზო სამეული?

*გიორგი:* „ვიტ ჯორჯია", „დინამო", „სიონი".

— ესე იგი, „სიონი" ბოლო ტურში ვერ იგებს?

— ასე მგონია.

— ჩემპიონობისთვის გადათამაშებაც აღარ გინდა?

— გზა რატომ დავიგრძელო?! ისე, გადათამაშებაზეც არ ვიტყვი უარს. „ლოკომოტივთან" მოვიგოთ და მერე „სიონზეც" ვიფიქრებთ.

*რეზო:* მეც იგივე სამეულს დავასახელებ.

— და ჩემპიონატის სამი საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?

— ამის თქმა ნამდვილად გამიჭირდება. არ მინდა, ვინმე გამოვტოვო. სჯობს, ამაზე თქვენ, ჟურნალისტებმა იფიქროთ.

— რეზო, ახლა არ თქვა, გიორგის ვეთანხმებიო...

— კარგი, სხვანაირად ვიტყვი: თავს შევიკავებ სამეულის დასახელებისგან.

**ჭახა ზალამბერიძე**



# სანაძლეოს გოლები რატის

*რატი ალექსიძისთვის რუსული პრემიერლიგა უიღბლოდ დაიწყო. მწვრთნელთა უნდობლობას ტრავმებიც დაემატა და ისე გამოვიდა, რომ ქართველი ფორვარდი მასზე გაცემულ ავანსებს ჯერ ვერ ამართლებს. თუმცა ბოლო ტურში „როსტოვის" დუბლშემადგენლობაში რატიმ ორი გოლი გაიტანა და „როსტოვის" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ბალახნინმა" ასეთი რამ განაცხადა: „ჩვენ, ფაქტობრივად, უფორვარდოდ გვიხდება თამაში და წაგებებიც ამის ბრალია. მახარებს ის, რომ ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს რატი ალექსიძე. მას შეუძლია, ჩვენს გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანოს".*

***რატი ალექსიძეს როსტოვში რომ დავურეკეთ, კარგ ხასიათზე იყო...***

— კარგი გოლები გავიტანე. პირველად ფლანგურ გარღვევაზე პარტნიორი გავუშვი, მე შორეულ ძელთან ჩავირბინე და დასწრებაზე ყველას ვაჯობე. მეორედ, ბურთი საჯარიმოსთან მკერდით მივიღე, თავით წინ წავიგდე, მიწაზე დაუშვებლად დავარტყი და გავიტანე. სხვათა შორის, პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენებაზე მწვრთნელს ვუთხარი, სანაძლეოს ვდებ, ორ გოლს გავიტან-მეთქი.

— მატჩის შემდეგ ბალახნინი თუ გესაუბრა?

— ვილაპარაკეთ და მითხრა, ხომ იცი, თავდამსხმელი არ გვყავს და მომავალ მატჩში შენი იმედი მექნებაო.

— ესე იგი, ნაკრებში კარგ ხასიათზე მოდიხარ?

— რაც მთავარია, ჯანზეც ვარ და ფორმაც მალე აღვიდგინე. ნაკრებია მთავარი, თორემ „როსტოვი" სად გაიქცევა?

**დავით ერაძე**

# ხიზანეიშვილი ლაპარაკს აპირებს

**მოსკოვის** „დინამოს" დუბლშემადგენლობაში თავისი მეორე გოლი გაიტანა ოთარ ხიზანეიშვილმა. ოთარს „დინამოს" ოფიციალურ ვებ-გვერდზეც აქებენ და რუსი ჟურნალისტების მიმოხილვებშიც, თუმც რად გინდა, ხიზანეიშვილი ჯერაც დუბლებშია და ძირითადში მოხვედრის პერსპექტივებზე ეს გვითხრა: „პირველი წრე მთავრდება და მინდა გჟებიკს დაველაპარაკო. ახლა მას წყალი აქვს შემდგარი. ნაღდად უცნაური კაცია. მნიშვნელობა არ აქვს, აგებს თუ იგებს, შემადგენლობას მაინც არ ცვლის. მარტო საქებარი სიტყვები და იმის თქმა — შენი თამაშით კმაყოფილი ვარო, რაში მარგია?"

„ტორპედო-მეტალურგთან" ხიზანეიშვილმა გოლის გარდა საჯარიმოდან ბურთი ხარიხასაც გაარტყა და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

**დავით ერაძე**

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ქართველები ფეხბურთის სათამაშოდ აფრიკაში პირველად ათი წლის წინ ჩავიდნენ — ჩვენი ეროვნული ნაკრები ნიგერიისას ესტუმრა და 1:5 წააგო.*

*ქართველთაგან ერთადერთი გოლი რევაზ არველაძემ გაიტანა — მაშინ ის „კიოლნის" ფეხბურთელი იყო, ახლა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.*

*ჩვენებურთა დამჯაბვნელ ნიგერიას მაშინ მართლაც დიდებული გუნდი ჰყავდა და იმავე, 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალამდეც კი მიაღწია. ჩვენს ნაკრებს კი აფრიკის ჩემპიონი 6 ივნისს, მუნდიალის დაწყებამდე შეხვდა.*

*არველაძის იუმორით გაჯერებული მოგონებებით კი, ვგონებ, თავს კარგად შეიქცევთ.*

*დავით თავართქილაძე*



2000 წელი — რევაზ არველაძემ ფეხბურთელის კარიერა „დინამოში" დაამთავრა

# მონტე კარლოდან დანახული ნიგერია

## ვინ დაწვება საკაცეზე?

აფრიკაში ფრანკფურტიდან წავედით. თვითმფრინავი ჯერ განაში დაჯდა. განამდე იქაური ფორვარდი ენტონი იებოა დაგვემგზავრა, ვინც კახა ცხადაძის თანაგუნდელიც გახლდათ და სალონში მათ საუბარიც გააბეს. მაშინ ბუნდესლიგაში ვთამაშობდი, იებოას, ასე ვთქვათ, მინდვრიდან ვიცნობდი და ერთი-ორი სიტყვით მეც გამოველაპარაკე აინტრახტელს. მოკლედ, განამდე ნორმალურად ვიმგზავრეთ, იქიდან კი ლაგოსში გადავფრინდით.

ნიგერიის დედაქალაქში გვიან ღამით ჩავფრინდით. თვითმფრინავიდან ავტობუსში გადაგვსხეს, წინ ესკორტი მიგვიძღოდა — „პაზიკის" მაგვარი ავტობუსი. ეს პაზიკური ავტობუსი ქუჩაში ხალხს აქეთ-იქით



სიცხეს არველაძე დღემის ბაზაზეც ხშირად შეუწუხებია

წევდა, თორემ სასტუმრომდე რამდენიმე წუთში კი არა, რამდენიმე დღეში მივაღწევდით. შუაღამე იყო, მაგრამ ქუჩები მაინც სავსე გახლდათ ხალხით. ადამიანები შუა ქუჩაში ვაჭრობდნენ, ავტობუსის მინიდან დავინახე, რომ კვერცხი და სხვა სურსათიც იყიდებოდა.

ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დავბინავდით. ტემპერატურა 50-52 გრადუსი იყო და სასტუმრო კონდიციერების გაძლიერებული რეჟიმით მუშაობდა.

როცა ნიგერიელებმა პირველად გვნახეს, ძალიან გაუხარდათ. ალბათ იმიტომ, რომ ბევრ მათგანს ამდენი თეთრი ხალხი ერთად ჯერაც არ ენახა. იქაურები ფულის და რაღაც საგნების გაცვლას გვთხოვდნენ, ზოგი სხვადასხვა მომსახურებასაც გვთავაზობდა, თითზე გასაღებს რომ აბზრიალებენ, დაახლოებით ეგეთი ხალხიც შეგვხვდა. აფრიკაში პირველად ჩასულები უცნობ, ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. სასტუმროში ყველაფერი იყო, ბარი, აუზი, რესტორანი, მაგრამ რაღაცნაირად შებოჭილები ვიყავით, მე, შეიძლება ითქვას, ოთახში გამოვიკეტე, საშინელ დისკომფორტს ვგრძნობდი.

ნიგერიაში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩავედით და ორი ვარჯიშიც მოვასწარით, ორივე მატჩის წინა დღეს. ჯერ სასტუმროსთან ახლოს ასფალტის მოედანზე ჩავატარეთ მოთელვა, მერე კი რომელიღაც პატარა სტადიონზე წავედით მინდორზე სავარჯიშოდ. აი, იქ იყო, თუ იყო — ხალხი დიდი ხალისით გვესალმებოდა, ხელებით გვეხებოდნენ, თითქოს გვამოწმებდნენ, ნამდვილი ადამიანები ვიყავით თუ არა და ავტოგრაფებსაც გვართმევდნენ.

და ვის ვეთამაშებოდით? მეტოქის შესახებ ფაქტობრივად არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. მატჩის წინა დღეს ნიგერიის ნაკრების შემადგენლობა მოგვიტანეს. მათი ფეხბურთელების გვარებს ნახევარი საათი ვკითხულობდით. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ იხუმრა კიდეც, ასეთი გვარების მქონე ხალხმა როგორ უნდა მოგვიგოსო. ჩვენ მაშინ არ ვიცნობდით ნიგერიელ ფეხბურთელებს, მათ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაიგდეს სახელი.

ნიგერიასთან შეხვედრას სერიოზულად მივუდექით — ჩვენ ხომ აფრიკის ჩემპიონს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულ გუნდს ვეთამაშებით. რა იყო მეტოქის სუსტი თუ ძლიერი მხარეები, ჩვენ არ ვიცოდით და მწვრთნელის წინასამატჩო დარიგებაც ძირითადად მხოლოდ ჩვენს თამაშს შეეხებოდა. ჩივაძემ გვითხრა, ბურთი რაც შეიძლება მეტი ვაგოროთ, დინამიურ თამაშს უნდა მოვერიდოთ, რადგან ძალიან ცხელა და გავითანგებითო.

მატჩი ლაგოსთან ახლოს, ქალაქ იბადანში გაიმართა. სტადიონი გაივსო, 50 ათასი კაცი მოვიდა. თამაშზე საგანგებოდ ელოდნენ ქალაქის მერს, ჰოდა, ჩვენც ცნობისმოყვარეობამ შეგვიპყრო. და აჰა, გამოჩნდა მერიც — ხალათში და ამაღლებული, ჩარჩული ქუდით — ასეთი გამოდგა ქალაქის თავი.

როცა ჰიმნების დრო დადგა, რა დაუკრეს, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ჰიმნი იმათისგან მაინც გავარჩიეთ. გულშემატკივარი კი ჩვენს მიმართ აგრესიული სულაც არ იყო, უბრალოდ, თავიანთ ნაკრებს მაგრად ქომაგობდნენ.

დაიწყო თამაში და მალევე გავიტანეთ — ტყუპისცალმა აჩიკომ მეტოქეს ბურთი აართვა, დიაგონალური პასი მომაწოდა, მე კი დასწრებაზე ვითამაშე და ჭვინტით შევაგდე ბურთი კარში. გახარებული ჩივაძე ფეხბურთელებთან მოვიდა და გვითხრა, ეგენი აზრზე არ არიან, ბურთი გააგორეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. რაშიდ იეკინიმ მთელი გუნდი ბურთიანად შეგვგლიჯა კარში — მან პირველ ტაიმში ორი გოლი გაგვიტანა, დანარჩენი სამი კი სხვებისგან გავუშვით მეორე ტაიმში.

... გიო ქინქლაძემ სამი კაცი მოატყუა, მაგრამ მერე ბურთი განზე გააგდო და თქვა, აქ მე მეტის გამქცევი აღარ ვარო.

... ბურთისთვის იეკინი, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია და დიმა კუდინოვი იბრძოდნენ, იმ ეპიზოდში რომელიღაც ჩვენიანი დაშავდა, მაგრამ სამივე იძახდა, ტრავმა მე მივიღეო. როცა მინდორზე საკაცე გამოიტანეს, ერთმანეთს ასწრებდნენ იქ წამოსკუპებას, მაგრამ სხვებს ცხადაძემ აჯობა — ყველას დასვენება, მოედნიდან გასვლა უნდოდა, რადგან ძალიან ცხელოდა.

თუმც მარცხს მხოლოდ სიცხეს ვერ დავაბრალებთ. ცოტაც და, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად გამოჩნდა, თუ რა სერიოზული გუნდი იყო ნიგერია — იეკინი, სანდი ოლისე, ფინიდი ჯორჯი, დანიელ ამოკაჩი, ემანუელ ამუნიკე, აუგუსტინ ოკოჩა — ყველამ ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ.



ემანუელ ამუნიკემ და დანიელ ამოკაჩიმ ქართველებთანაც გაიხარეს

ნამატჩევს სტადიონის საშხაპეში წყალი არ მოდიოდა და ნიგერიელებმა ერთი ყუთი დასალევი წყალი მოგვიტანეს, მარკეტებში რომ იყიდება, ისეთი. ჰოდა, ჩვენც ერთმანეთი დავბანეთ ბოთლებით.

უკანა გზაზე აეროპორტში რომ მივედით, რამდენიმე ჩვენი ბილეთი გაყიდული დაგვხვდა, რის გამოც ზოგი კიოლნის რეისით ჩავიდა გერმანიაში. მე და აჩის ფრანკფურტის რეისმა მოგვიწია და როცა იქ ჩავედით, ისეთი დაღლილები ვიყავით, რომ იქვე, სასტუმროში ნომერი ავიღეთ — ოთხი საათი მკვდარივით მეძინა, ნიგერიასთან მატჩზე შვიდ კილომდე დავიკელი.

1994 წელს საქართველოში მძიმე ვითარება იყო, ცხოვრება მაშინ ძალიან ჭირდა, მაგრამ რაც ნიგერიაში ვნახე, იმდროინდელი თბილისი მასთან შედარებით მონტეკარლო გვეგონებოდათ.



რაშიდ იეკინიმ საქართველოს ნაკრები კარ ბადემდე მიიტანა

# ერიქსონის ძალიან კარგი

*სვენ გორან ერიქსონმა ინგლისის ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა და სწორედ ეს შემადგენლობა გაემგზავრება პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე*



მენეჯერის მთავარი თავის ტკივილი მცველების შერჩევა იყო, ვინაიდან ინგლისის სამი ცნობილი მცველიდან ვერცერთი ვერ მიიწვია: რიო ფერდინანდი დასჯილია, ჯონათან ვუდგეიტი ტრავმირებული, გარეტ საუთგეიტი კი ფორმაში არ არის. ამიტომ, შვედმა თავის გუნდში ლივერპულელი ჯემი კარაგერი და „ტოტენჰემის“ ახალგაზრდა, ლედლი კინგი მიიწვია. ესენი ალბათ, მეორე შემადგენლობის ხალხია, რადგან ძირითადში დაცვის ცენტრს სოლ კემპბელი და ჯონ ტერი დაიჭერენ.

ინგლისის დაცვის ხაზს უფროს ძმასთან ერთად შეუერთდება ფილ ნევილიც, რომელიც ორ ევროპის ჩემპიონატზე იყო ნაკრებში (96-2000), მაგრამ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე (98-02) არ ყოფილა. ერიკსონმა ფილი დენი მილსს არჩია, რომელიც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული ყოველთვის იყო ნაკრებში და ტრავმირებულ გარისაც კი ცვლიდა. თუმცა, ფილი მისი უნივერსალიზმის გამოა მიწვეული — წლეულს მან საყრდენადაც კი ითამაშა და არცთუ ცუდად.

წინა ხაზზე ერიკსონმა არ უღალატა თავის ძველ რჩეულს, დარიუს ვასელს და ის ტოტენჰემელ ჯერმენ დეფოს ამჯობინა. დეფო ახლა ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მენეჯერს გადაუწყვეტია, რომ 23-კაციან გუნდს 24-ე კაცად აახლოს სარდინიულ შეკრებაზე.

„დეფომ იცის, რომ ის 24-ეა — თქვა მენეჯერმა — თუ ვინმე დაშავდა, განაცხადში დეფო მოხვდება“.

სხვაფრივ, ინგლისის ნაკრებში ნაცნობი სახეებია: მწვრთნელმა არც ოუენ ჰარგრივსს უღალატა და არც ახლალა მომჯობინებულ კირონ დაიერს, მესამე მეკარედ კი ლესტერელი იან უოკერი იახლა. „თუ ტრავმებმა არ შეგვაწუხა, ჩვენ ძალიან, ძალიან კარგი გუნდი გვეყოლება“ — გაიცინა ერიკსონმა.

## ინგლისი ევრო-2004-ზე



*მეკარეები: დევიდ ჯეიმსი (სიტი), პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), იან უოკერი (ლესტერი)*

*მცველები: გარი და ფილ ნევილები (მანჩესტერი), ეშლი კოული, სოლ კემპბელი (ორივე არსენალი), უეინ ბრიჯი, ჯონ ტერი (ორივე ჩელსი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი), ჯემი კარაგერი (ლივერპული)*

*ნახევარმცველები: დევიდ ბექემი (რეალი, მადრიდი), პოლ სქოულზი, ნიკი ბათი (ორივე მანჩესტერი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ფრენკ ლამპარდი, ჯო კოული (ორივე ჩელსი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი), კირონ დაიერი (ნიუკასლი)*

*თავდამსხმელები: მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი (ლივერპული), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა), უეინ რუნი (ევერტონი)*

# კაი ბიჭები და კაი თამაშები

*გთავაზობთ სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებულ სერია A-ს ახლადდამთავრებული სეზონის საუკეთესო მოთამაშეების და მოვლენების ჩამონათვალს*

*სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი:* **ფრანჩესკო ტოტი** *(რომა)*

ბრაზილიელი კაკა და უკრაინელი ანდრეი შევჩენკო სხვებზე არანაკლებ ბრწყინავდნენ, მაგრამ „მილანს“, ალბათ, მათ გარეშეც შეეძლო დიდი წარმატებების მიღწევა, „რომას“ კი ფრანჩესკო ტოტი რომ არ ჰყოლოდა, მეორე ადგილი კი არა, მეხუთეც სანატრელი ექნებოდა.

ტოტი „რომაში“ თავდამსხმელების უკან მოქმედებდა, სანამ ვინჩენცო მონტელა არ დაშავდა, ხოლო მონტელას დაშავების შემდეგ თავადაც წინ წაიწია და გოლების გატანაც ისეთივე წარმატებით დაიწყო, როგორც მანამდე ქმნიდა მომენტებს. შედეგად, მან 20 გოლი გაიტანა და ანტონიო კასანოსთან შექმნა წყვილი, რომელმაც პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე შეიძლება გაიბრწყინოს.

*სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი:* **ალბერტო ჯილარდინო** *(პარმა)*

ჯილარდინოს ფუნქცია სეზონის წინ ასე იყო განსაზღვრული — იგი ბრაზილიელ ადრიანოს უნდა დახმარებოდა, მაგრამ მერე ადრიანოს ჯერ ტრავმამ დაატოვებინა „პარმას“ ძირითადი შემადგენლობა, ხოლო შემდგომ იგი „ინტერში“ გაიყიდა და ჯილარდინოსაც დარჩა ბურთი და მოედანი.

ხელფეხგახსნილმა ახალგაზრდამ ჩემპიონატში 23 გოლი შეაგდო და მხოლოდ ერთით ჩამორჩა საუკეთესო ბომბარდირ ანდრეი შევჩენკოს.

დღეს ჯერ გაურკვეველია, წაიყვანს თუ არა მას იტალიის ნაკრების მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ევრო 2004-ზე. აქამდე ტრაპატონი ამბობდა, რომ ჯილარდინო ევროპის ჩემპიონატისთვის ახალგაზრდაა, მაგრამ დღეს, როდესაც უცნობია, ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდება თუ არა ფილიპო ინძაგი პორტუგალიაში გასამგზავრებლად, მწვრთნელმა შესაძლოა, გეგმებს გადახედოს.

*სეზონის საუკეთესო თამაში:* **„იუვენტუსი“ — „მილანი“ 1:3** *(14 მარტი, ტურინი)*

ამ დღეს „იუვენტუსი“ მიხვდა, რომ სკუდეტოზე აღარ უნდა ეოცნება, ხოლო „მილანმა“ საბოლოოდ ჩაიგდო ხელთ ლიდერობა. გარდა ამისა, თავად თამაში იყო მაღალი ხარისხის, რომელშიც განსხვავებით წინა სეზონის ჩემპიონთა ლიგის უგოლო ფინალისგან, ოთხი გოლი გავიდა.

ეს იყო ორმხრივ დაძაბული შეხვედრა, რომლის დასაწყისში ტურინელებს ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენეს. შემდეგ იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე კლარენს ზეედორფმა ანდრეი შევჩენკოს გაახსნევინა ანგარიში. სხვათა შორის, შევჩენკომ პირველ ტაიმში კიდევ ორი მომენტი ვერ გამოიყენა. შესვენებიდან ცხრა წუთში კი კაკას პასით ფილიპო ინძაგიმ შეაგდო მეორე გოლი. მესამე თავად ზეედორფმა გაიტანა, ბოლოს კი „იუვეს“ ვეტერანმა მცველმა, ჩირო ფერარამ შეაგდო ერთი „მილანის“ კარში.

*სეზონის საუკეთესო გოლი:* **მანჩინის გოლი „რომასა“ და „ლაციოს“ შეხვედრაში** *(9 ნოემბერი)*

ის თამაში „რომამ“ 2:0 მოიგო, მანჩინიმ კი ანგარიში უჩვეულო დარტყმით გახსნა. ეს ასე იყო: „რომამ“ „ლაციოს“ საჯარიმოს კიდესთან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა. საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი მანჩინიმ ქუსლით შეაგდო კარში.

*სეზონის გადამწყვეტი მატჩი:* **„რომა“ — „მილანი“ 1:2** *(6 იანვარი, რომი)*

ამ დღეს ორი გოლი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. მაშინ „რომა“ ლიდერი იყო, „მილანი“ კი სამი ქულით წამოეწია. რომაელთაგან კასანომ შეაგდო ერთი.

**ბაჩუნა ძიდია**




სერია A-ს საამსეზონო საუკეთესო მატჩად „იუვენტუსი“ — „მილანი“ მიიჩნიეს

# უკანასკნელი დიდი ოთხეულიდან

გადაჭედილმა „ჰაიბერიმ“ ტაში და პატივი მიაგო 38 წლის მარტინ კიოუნს, რომელიც ამ ზაფხულს გუნდს სტოვებს და უკანასკნელია „არსენალის“ დაცვის ეგრეთ წოდებული „დიდი ოთხეულიდან“ გუნდს რომ შემორჩა.



მარტინ კიოუნი

მარტინ კიოუნს კვლავაც უნდა თამაში და ორიოდ სეზონს სადმე სხვაგან გაატარებს, წუხელის კი 38 ათასი კაცი მას ფეხზე ადგომითა და ოვაციით გამოეთხოვა საგანგებო თამაშზე, რომელიც მის გასაცილებლად მოეწყო.

კიოუნმა თავმდაბლური მადლობა გადაუხადა „ჰაიბერის“ და შენიშნა, რომ კლუბის ისტორიაში შესვლა მეტად ხმამაღალი ნათქვამია მის მცირედი ღვაწლის შესაფასებლად. „არსენალი“ სახელდახელოდ შედგენილ „ინგლისი 11“-ს ეთამაშებოდა და 6:0 მოუგო. მარტინის მხარდამხარ თამაშობდნენ ძველი მეგობრები, ნაიჯელ უიტერნბერნი და ლი დიქსონი, ხოლო დიდი ოთხეულის წევრებმა, ტონი ადამსმა და სტივ ბოულდმა მისალმებანი გამოგზავნეს. „ინგლისი 11“-ს „წვრთნიდა“ დევიდ სიმენი, მარტინის პატივისცემით კი იქ ითამაშეს დევიდ ბექემმა, ჯონ ტერიმ, ჯო კოულმა და თვით პოლ გესქოინმა.

სახუმაროც ბევრი იყო: მარტინს პენალტი აუღო ნორვიჩელმა მეკარემ რობერტ გრინმა.

**ირაკლი გამყრელიძე**





ადრიანო გალიანი და ფრანჩესკო ტოტი

# თუ ტოტის თავს დაატყდებათ...

## გალიანიმ მილანის სურვილი გაახმოვანა

თუ „რომა“ ფრანჩესკო ტოტის გაყიდვას იფიქრებს, ერთ-ერთი პირველი, ვინც მისი ყიდვის სურვილს ოფიციალურად გამოთქვამს, „მილანი“ იქნება. ეს თავად „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ განაცხადა:

„მეეჭვება მან „რომა“ დატოვოს და მაინც, თუ ასეთ ტრანსფერს რეალური ელფერი მიეცემა, ჩვენ აშკარად დავინტერესდებით. წარმოგიდგენიათ, რა ძალის გუნდი გახდება „მილანი“, როდესაც მეტოქეთა კარს ტოტის, კაკას და ანდრეი შევჩენკოს ერთობლივი შეტევა დაატყდება?“ — ბრძანა გალიანიმ.

რატომ ჩამოვარდა სიტყვა ტოტის გაყიდვაზე? ისევ და ისევ იმიტომ, რომ „რომა“ ფინანსური პრობლემების წინაშე დგას და კაპიტნის გაყიდვით შეიძლება მდგომარეობა გაიუმჯობესოს.

მოგეხსენებათ, აქამდე ყველაზე აქტიურად „რეალზე“ ლაპარაკობდნენ, თუმცა ტრანსფერები, ზოგადად, დიდი ჩახლართული რამ გახლავთ.

„ჩვენ მომავალ სეზონშიც ჩემპიონობას ვაპირებთ და იმავდროულად ჩემპიონთა ლიგაში გვსურს გამარჯვება. ამ ამოცანას ძირითადად იგივე გუნდი შეასრულებს, რომელიც აქამდე გვყავდა. რაც შეეხება დამატებულ ხალხს, დანამდვილებით ვიკამ დორასო და იაპ სტამი დაგვემატნენ, სხვა სატრანსფერო ხმები კი, ჯერჯერობით მხოლოდ ხმებია“ — დასძინა „შავ-წითლების“ ვიცე-პრეზიდენტმა.

**პაპუნა ძიძია**



ალბერტო ჯილარდინო

# მე დავიბადე ჰეთ თრიქის თვეში

## ჯილარდინომ ტრაპატონის თავი შეახსენა

*„პარმას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი, ალბერტო ჯილარდინო ამბობს, რომ ევრო 2004-ზე გამგზავრებას ყველაფრის მიუხედავად იმედოვნებს. მოგეხსენებათ, ჯილარდინოს ნიჭიერებასა და სიძლიერეში „სკუადრა აძურას“ მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის ეჭვი არასდროს შეპარვია, მაგრამ დაუჩემებია, ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდააო და პორტუგალიაში წაყვანას არ უპირებს*

„მაინც მაქვს იმედი, რომ გამომიძახებენ — განაცხადა ყოფილმა პიაჩენცელმა, რომელიც 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, ხოლო სერია A-ს ახლადამთავრებულ სეზონში 23 გოლი გაიტანა, აქედან ოთხი ბოლო ტურში, „უდინეზეს“ კარში — და თუ ასე არ მოხდება, 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში მაინც მოვხვდები და ათენის ოლიმპიადაზე ვითამაშებ“.

თუმცა უმთავრესად ჯილარდინო მაინც ევრო 2004-ზე წასვლას უმიზნებს:

„მე იმ დღეს ვარ დაბადებული, როდესაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პაოლო როსიმ ბრაზილიას სამი გოლი გაუტანა და ვფიქრობ, ეს ტრაპატონისთვის კარგის ნიშანი უნდა იყოს“.

მეორე მხრივ, წავა ჯილარდინო ევროპის პირველობაზე თუ არ წავა, მისი მომავალი, წესით, საინტერესო უნდა იყოს. მისი შეძენა „იუვენტუსსაც“ სურს და „რომასაც“.

„ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. „პარმაში კი დავრჩებოდი დიდი სიამოვნებით, მაგრამ უნდა დავიცადო და დავრწმუნდე, რომ დღევანდელი მწვრთნელი და ფეხბურთელები არსად მიდიან. თუ თანაგუნდელებისგან ოთხს ან ხუთს გაყიდიან, მაშინ ჩავთვლი, რომ მეც უნდა წავიდე. მომავალში ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვოცნებობ“ — თქვა ამომავალმა ვარსკვლავმა.

**პაპუნა ძიძია**

## შვედეთი

### ალსვენსკა. VIII ტური

ჰამარბი 3:1 ლანდსკრონა
მალმიო 0:0 კალმარი
იორებრო 2:1 აიკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:8 | 22 |
| ჰამარბი | 8 | 5 | 2 | 1 | 9:4 | 17 |
| კალმარი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:5 | 13 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| იორებრო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:18 | 10 |
| ტრელებორგი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| იურგორდენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | 9 |
| ლანდსკრონა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 1 | 4 | 3 | 13:13 | 7 |
| სუნდსვალი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| იორგრიტე | 7 | 1 | 4 | 2 | 7:10 | 7 |
| აიკ | 8 | 1 | 3 | 4 | 4:9 | 6 |
| ელფსბორგი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:15 | 3 |

## საფრანგეთი ევრო-2004-ზე

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (ნანტი);*

*მცველები: ჟან-ალენ ბოუმსონგი (ოსერი), მარსელ დესაი, უილიამ გალასი (ორივე ჩელსი), ბიქსენტ ლიზარაზუ, ვილი სანიოლი (ორივე ბაიერნი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი);*

*ნახევარმცველები: ოლივე დაკური (რომა), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), კლოდ მაკელელე (ჩელსი), ბენუა პედრეტი (სოშო), რობერ პირესი (არსენალი), ჟერომ როტენი (მონაკო), პატრიკ ვიეირა (არსენალი), ზინედინ ზიდანი (რეალი)*

*თავდამსხმელები: ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი (ორივე არსენალი), სტივ მარლე (მარსელი), ლუი საჰა (მანჩესტერ იუნაიტედი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი)*

# შვიდი მოკვეთილი

**იტალიის** ახლადდასრულებულ ჩემპიონატში ბევრი საინტერესო რამ მოხდა და მათ შორის, ბუნებრივია, იყო მწვრთნელთა ძიება და ცვლაც. ამ პროფესიის ხალხის კლუბიდან კლუბში ტრიალი და სამსახურიდან დათხოვნა ხომ ძალიან დიდი და მუდმივად გასაოცარი თემაა, რომლის შესახებაც ქომაგები ყოველთვის ფრიადი ინტერესით ისმენენ. ამ სეზონში, როგორც გაირკვა, სერია A-მ შვიდი მწვრთნელი „იმსხვერპლა“. კერძოდ:

„ბოლონიამ“ ზედ სეზონის დაწყების წინ დაიფრინა ფრანჩესკო გვიდოლინი, რომელიც ვეტერანმა კარლო მაცონემ შეცვალა.

„ანკონამ“ პირველ ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა და ამის გამო სამსახურიდან ლეონარდო მენიკინი გაუშვა. მის მაგივრად დაინიშნა მრავალნაცადი ნედო სონეტი, თუმცა სონეტიმ „მილანთან“ 0:5 წააგო, ხოლო 19 თამაშში გუნდმა ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. შედეგად, გამოჩნდა ახალი მწვრთნელი, ჯოვანი გალეონე.

„ინტერმა“ მეექვსე ტურის შემდეგ გაუშვა ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი ჰექტორ კუპერი. კუპერის ბოლო შეხვედრაში „შავლურჯებმა“ „ბრეშასთან“ 2:2 ითამაშეს. კუპერის ნაცვლად „ინტერის“ მესაჭის პოსტი ჩაიბარა ალბერტო ძაკერონიმ.

„ემპოლიმ“ ასევე მეექვსე ტურის შემდეგ დაითხოვა გამოუცდელი დანიელე ბალდინი. ექვს ტურში გუნდს მხოლოდ ორი ქულა ჰქონდა დაგროვილი, ხოლო გაშვებულ გოლთა რაოდენობა უკვე ჩვიდმეტს უდრიდა. ბალდინის გაშვების შემდეგ ტოსკანიელებმა ატილიო პეროტი იქირავეს.

„რეჯინამ“ ათ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ რომ მოიგო და ცხრა წაგებიდან ერთი „ინტერთან“ 0:6 გახლდათ, ფრანკო კოლომბას მიუთითა კარისკენ. მის სკამს „ტორინოს“ ყოფილი თავკაცი ჯანკარლო კამოლეზე დაეპატრონა.

„მოდენამ“ „რეჯინასთან“ 1:2 წაგება იუკადრისა და ალბერტო მალესანი გაუშვა. მის ნაცვლად მიიყვანეს ჯანფრანკო ბელოტო, რომელიც წინა სეზონში სერია B-ში „ვენეციას“ წვრთნიდა.

**პაპუნა ძიძია**



ჰექტორ რაულ კუპერი

# კიევოდან პორტუში

## დელ ნერის მაურინიუს ადგილი შესთავაზეს

„კიევოს“ თავკაცი ლუიჯი დელ ნერი, შესაძლოა, „პორტუს“ მწვრთნელი გახდეს. ეს მოულოდნელი ამბავი იტალიაში ვერონის გაზეთებმა გაავრცელეს, ხოლო ის, თუ რატომ სჭირდება ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს, პორტუგალიის „პორტუს“ ახალი მწვრთნელი, გასაგებია — მისი დღევანდელი თავკაცი ჟოზე მაურინიუ, რამდენადაც ცნობილია, „ჩელსიში“ გადავა.

იტალიელი ტაქტიკოსი პოპულარული სწორედ „კიევოში“ მუშაობით გახდა. უფრო სწორად, სწორედ დელ ნერის წყალობით ავიდა ვერონის გარეუბნის გუნდი სერია A-ში და მეტიც, იქ მყარად დამკვიდრდა. შესაბამისად, მისი თავისთან გადაყვანით დაინტერესდნენ ცნობილი კლუბები, „იუვენტუსი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“.

აი, რა განაცხადა უცხოეთში შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით თავად დელ ნერიმ: „საერთოდ, თუ საზღვარგარეთიდან საინტერესო წინადადებით მომმართავენ, დავყაბულდები და იტალიიდან წავალ“.

ასეთი განცხადება, დაგვეთანხმებით, მრავალმნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ მაურინიუს ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლა, როგორც ამბობენ, უკვე გადაწყვეტილი ამბავია — „ჩელსის“ იტალიელი თავკაცი კლაუდიო რანიერი ქომაგებს უკვე გამოემშვიდობა.

**პაპუნა ძიძია**



ლუიჯი დელ ნერი

# უეფას თასი 2003-2004. ფინალი. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღევანდელი ფინალი რიგით ორმოცდამეექვსეა. 1958 წლიდან 1972 წლამდე უეფას თასს გაზრობათა თასი ერქვა და შემდეგ შეუცვალეს სახელი.

„ვალენსიას" გაზრობათა თასი ორჯერ, 1962 და 1963 წლებში მოუგია, უეფას თასის ფინალში კი პირველადაა.

ბოლო ესპანური კლუბი, რომელმაც უეფას თასი (1986) მოიგო, მადრიდის „რეალი" იყო.

„მარსელი" უეფას თასის ფინალში 1999 წელს გავიდა და მოსკოვში, „ლუჟნიკებზე" „პარმასთან" 0:3 დამარცხდა.

ფრანგულ კლუბს უეფას თასი არასოდეს მოუგია. 1996 წელს „ბორდოს" ფინალში „ბაიერნმა" სძლია, ხოლო „ბასტიამ" 1978 წელს პსვ-სთან წააგო.

შარშანდელ ფინალში „პორტუმ" „სელტიკი" „ვერცხლის გოლის" წესით დაამარცხა. ამჯერად „ვერცხლისა" და „ოქროს" გოლების წესები გაუქმდა. ძირითადი და დამატებითი დროს ფრედ დამთავრებების შემთხვევაში პენალტები დაინიშნება.

გიოტებორგის „ნია ულევის" სტადიონი 1958 წელს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშენდა, 1989 წელს კი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ამ სტადიონზე გაიმართა ჩემპიონთა თასის 1992 წლის ფინალი.

## მარსელი საფრანგეთი

შვედეთი. გიოტებორგი. ულევი. 23.45. მსაჯი პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

# ანიგო დიდიე გულზეა ხომ მოვუგეთ მაშინ მილანს?!

ფრანგთა მწვრთნელ ჟოზე ანიგოს სიხარულიც და ტკივილიც დიდიე დროგბაა. კოტდივუარელი ფორვადი „მონაკოსთან" მატჩში დაშავდა, თუმც, სავარაუდოდ, დღეისათვის ჯანზე იქნება.

„ჩვენ ყველას ძალიან გვიხარია, რომ დიდიე ფინალში ითამაშებს — თქვა ანიგომ — ის ხომ მთავარი კაცია. მოედანზე მისი უსაქმოდ ყოფნაც კი ჩემს გუნდს რწმენას მატებს. დროგბა შეუცვლელია."

„მარსელის" მწვრთნელი ზოგიერთ თავის კოლეგასავით სიტყვაძუნწი არაა და კოტდივუარელი ფორვარდისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „დიდიეს თავდამსხმელისთვის საჭირო ყველა თვისება ახასიათებს: სისწრაფე, ტექნიკა და სხარტად აზროვნების უნარი. მე თუ მკითხავთ, ის კრისტიან ვიერიზე და მაიკლ ოუენზე უკეთესია. მსოფლიოში არ არსებობს ფეხბურთელი, რომელშიც დროგბას გავცვლიდი."

ანიგოს აზრით, დიდიე დროგბა ჟან-პიერ პაპენისა და ჟორჟ ვეას წააგავს. „ფიზიკურად ვეასავით ღონიერია და პაპენივით საგოლე ალღო აქვს. მთავარი კი ისაა, რომ იგი ნელნელა უმატებს და ერთი წლის შემდეგ შეუდარებელი გახდება"— მსჯელობს ანიგო.

„მარსელის" თავკაცმა ისიც კარგად იცის, რომ მხოლოდ დროგბას გვარ-სახელით ფინალს ვერ მოიგებს: „ჩვენი მეტოქე ძალიან ძლიერია, განსაკუთრებით დაცვაში. მათ არ ჰყავთ „მანჩესტერისა" და „რეალის" დარი ვარსკვლავები, მაგრამ უამისოდაც აღწევენ წარმატებას."



ჟოზე ანიგომ „მარსელი" წლეულს, იანვარში, ალენ პერენისგან ჩაიბარა და თავადაც არ ელოდა ასეთ დასასრულს: „მჯერა, რომ წლეულსვე, სადებიუტო სეზონში ევროთასს მოვიგებთ. ამის რომ არ მჯეროდეს, შვედეთში არც ჩამოვიდოდით. „ლივერპული", „ინტერი" და „ნიუკასლი" ჩამოვიცილეთ გზიდან და „ვალენსიასი " რატომ უნდა გვეშინოდეს? ეს დღე 1993 წლის ჩემპიონთა თასის ფინალს მაგონებს. მაშინ „მარსელს" არ თვლიდნენ ფავორიტად, მაგრამ ხომ დაამარცხა „მილანი"?

ფრანგთა ნახევარმცველი სილვენ ნდიაე „ბორდოში" თამაშობდა, როცა ჟირონდელებმა „ბაიერნთან" 1996 წელს უეფას თასის ფინალი წააგეს. ახლა კი ნდიაიე მეტიუ ფლამინთან ერთად „მარსელის" შუახაზის ბურჯია. ფლამინს ალან პერენი ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა, ანიგოს მოსვლის დღიდან კი შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა: „ძალიან კარგი სეზონი გვქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ უეფას თასის ფინალში ვითამაშებ" — თქვა ფლამინმა



## დიდიე დროგბა

*კოტდივუარელმა გოლკაცამ ამ სეზონში 30 ბურთი გაიტანა. 19 ჩემპიონატში, ექვსი ჩემპიონთა ლიგაში, ხუთი კი უეფას თასზე. ორი კვირის წინ დაშავებულ ფეხბურთელს ექიმები თვალის ჩინივით უვლიდნენ, რომ სადღეისოდ მოემზადებინათ და მოაფერიანეს კიდეც. ფინალი დროგბასა და მისტას ერთგვარი დუელი იქნება. შარშან გენგამიდან „მარსელში" გადასული ფორვადი, ფაქტობრივად, ნახევარი გუნდია.*

## კოლინას მეოთხე ფინალი

მატჩის არბიტრი პიერლუიჯი კოლინა იქნება. 44 წლის იტალიელს აქამდე სამი ფინალი უმსაჯია. 1996-ში ოლიმპიადაზე ნიგერიისა და არგენტინის შეხვედრა, 1999-ში ჩემპიონთა ლიგის ფინალი „მანჩესტერსა" და „ბაიერნს" შორის, 2002-ის მუნდიალზე კი, ბრაზილია—გერმანია.

დღევანდელი შეხვედრა კოლინას საერთაშორისო კარიერაში 93-ეა. ქაჩალი იტალიელისა და „ვალენსიას" გზები 2001-ში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გადაიკვეთა, როცა ვალენსიელებმა „ლიდს" უმასპინძლეს, თამაში უგოლოდ დასრულდა.

პიერლუიჯი კოლინამ „მარსელის" და „სელტას" მატჩი (0:0) ვიგოში 1999-ში იმსაჯა. იმავე წელს იტალიელი „ველოდრომზე" აღმოჩნდა და „მარსელ" — „დინამოს" (ზაგრები) გაუძლვა.

„ჩემთვის დიდი პატივია ასეთი დონის მატჩის მსაჯობა — თქვა კოლინამ — სამჯერ ვიყავი ფინალში და მეგონა, რომ ლიმიტი ამოვწურე, მაგრამ როცა გამომიძახეს, ავღელდი. ფინალისთვის ხომ საგანგებო მომზადებაა საჭირო."



# უეფას თასი 2003-2004. ფინალი. დღეს

## ვალენსია
ესპანეთი

*რაფაელ ბენიტესსა და მის გუნდს პრიმერადივიზიონის ჩემპიონობისგან გამოწვეული სიხარული ჯერ არ განელებიათ. „ვალენსია“ უეფას თასსაც თუ დაეუფლა, სიხარული გაორმაგდება და ეს სეზონი კლუბის ისტორიაში მოოქროვილად ჩაიწერება*




# მარწყვივით ფინალი რაფაელის ტორტისთვის




ვალენსიელებმა პრიმერადივიზიონი ორი წლის წინ სწორედ ბენიტესის თავკაცობით მოიგეს, მანამდე კი ორჯერ, ექტორ კუპერის მწვრთნელობისას ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდნენ. დღევანდელი ფინალის ფავორიტად ბენიტესის გუნდს მიიჩნევენ, მაგრამ თავად მწვრთნელი ასე არ ფიქრობს: „უპირატესობას ვერავის მივანიჭებ. შანსები, ფაქტობრივად, თანაბარია. შესაძლოა, ჟურნალისტები ვითარებას სხვაგვარად აფასებენ, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მოედანზე ორ მონდომებულ, მებრძოლ გუნდს ვიხილავ.“

გავიხსენოთ, რომ ესპანეთში „ვალენსიას“ მეტოქე „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან მოულოდნელად „მონაკომ“ დაიფრინა. ამიტომაც ფიქრობს ბენიტესი, რომ სახელები და ძველი წარმატებები არაფერს ნიშნავს: „ნახევარფინალში „ვილიარეალმა“ კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა. ამ გუნდთან ორ შეხვედრაში ბევრი რამ ვისწავლეთ და „მარსელთან“ სრული მობილიზება გვმართებს. უნდა გვახსოვდეს, თუ რაოდენ რთული გზა გავიარეთ ფინალამდე. ერთი შეცდომის უფლებაც კი არ გვაქს.“

„ვალენსიამ“ ქვეყნის ჩემპიონობა ორი კვირის წინ მოიპოვა. რაფაელ ბენიტესის თქმით, ეს ფაქტი დღევანდელი ფინალისთვის შესაძლოა, კარგიც იყოს და ცუდიც. „კარგია ის, რომ ბიჭებს გამარჯვებამ რწმენა შემატა, მაგრამ ამავდროულად, ჩემპიონობაგანაღდებულები შესაძლოა, მეორე „ფრონტზე“ სრულად ვერ დაიხარჯნონ“ — აღნიშნა მწვრთნელმა.

„ჩვენს მეტოქეს გამართული დაცვა ჰყავს. „მარსელის“ ფეხბურთელები ღონიერნი არიან და კონტრშეტევებზე კარგად თამაში ეხერხებათ. განსაკუთრებით სახიფათოა დიდი დროგბა, რომელიც ამ სეზონში ბრწყინავს — დასძინა ბენიტესმა და განაგრძო — როცა შენი ქვეყნის ჩემპიონი ხარ და უეფას თასის ფინალიც გელის, სეზონის წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, უეფას თასის მოგება კი ისე დაგვამშვენებს, როგორც ტორტს მარწყვი.“

„ვალენსიას“ კაპიტანი დავიდ ალბელდა: „ჩვენ გავიზარდეთ როგორც გუნდი. „ვალენსიას“ წარმატების გასაღები მუხლჩაუხრელი შრომაა. არ ვცდილობთ იმის მტკიცებას, რომ სუპერფეხბურთელები ვართ და ჩვენზე უკეთესი არავინაა. წყნარად ვმუშაობთ და გამარჯვებაც მოდის.“

# შაბათს ჰიცფელდი ბაიერნიდან წავა

**გუშინ** მიუნხენის „ბაიერნიდან“ ოტმარ ჰიცფელდის გაშვების ამბავი თითქმის გარხრჩულ საქმედ მოვიხსენიეთ. დღეს ეს ამბავი საბოლოოდ გადაწყვეტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ და ჰიცფელდის წასვლის ზუსტ დროსაც დავასახელებთ — შაბათს, ბუნდესლიგის ბოლო ტურის დამთავრებისთანავე. ამის თაობაზე კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა გერმანულ გაზეთებს აუწყა.

„ჰიცფელდს უკვე ვესაუბრე და დამეთანხმა, რომ ცვლილებები კლუბისთვის აუცილებელია — თქვა ჰიონესმა და თავი მოისაწყლა — „ვერდერთან“ დამარცხების მერე ცრემლები წამომივიდა, ვიგრძენი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ასეთი სეზონი მომავალში აღარასოდეს უნდა გვქონდეს.“

ჰიცფელდის ადგილზე ფელიქს მაგათის დანიშვნის თაობაზე ჰიონესს არაფერი უთქვამს, თუმცა „შტუტგარტის“ მწვრთნელი ისევ რჩება „ბაიერნში“ პოსტის მიღების ერთადერთ პრეტენდენტად.

არადა, ერთი თვის წინ ჰიცფელდი გადაჭრით ამბობდა, მომდევნო სეზონში ისევ მე გავწვრთნი „ბაიერნსო“.

**ირაკლი ნინიძე**



# მისტა

*სეზონის დასაწყისში ვერავინ იტყოდა, რომ ეს ბიჭი „მესტალიას“ ჯილა გახდება. მიგელ ანხელ ფერერ მარტინესმა, იგივე მისტამ, პრიმერადივიზიონში 19, უეფას თასზე კი 4 გოლი გაიტანა. მისი კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ იწურება. მისტას აგენტი თავისი კლიენტისთვის ხელფასის მომატებას ცდილობს, რადგან ფეხბურთელს უკვე ეპატიჟებიან ბობოლა ევროპული კლუბები. მიგელ ანხელს ძალიან სურს ევროპის ჩემპიონატზე თამაში და იმედოვნებს, რომ ფინალში თავს გამოიჩენს და ინაკი საესი ნაკრებში უხმობს*




## პორტუგალია ევრო-2004-ზე

*მეკარეები: სილვა (ბრაგა), მორეირა (ბენფიკა), რიკარდუ (სპორტინგი);*

*მცველები: კოუტუ (ლაციო), ანდრადე (დეპორტივო), მონტეირო (ბენფიკა), ვალენტე, პაულუ ფერეირა, კარვალიო (სამივე პორტუ), ბეტო, რუი ჟორჟე (ორივე სპორტინგი);*

*ნახევარმცველები: დეკო (პორტუ), პეტი (ბენფიკა), კოშტინია, მანიშე (ორივე პორტუ), რუი კოშტა (მილანი), ტიაგო (ბენფიკა);*

*თავდამსხმელები: კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), პოსტიგა (ტოტენჰემი), ფიგუ (რეალი), ნუნუ გომეში, სიმაო (ორივე ბენფიკა), პაულეტა (პსჟ)*

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი II მატჩები** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 024 | ბრისტოლი-ჰარტლპული | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 025 | ბრაიტონი-სუინდონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი II მატჩები** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 026 | ჰადერსფილდი-ლინკოლნი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 027 | მენსფილდი-ნორთჰემპტონი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **ჰოლანდია. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 106 | სპარტა-ვიტესი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 107 | ვენლო-ჰელმონდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 23.00 | 108 | გრააფსხაპი-ექსელსიორი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 23.00 | 109 | ჰერაკლესი-ვოლენდამი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| | | **ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 115 | ტუბეკე-გეელი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 23.00 | 116 | რუზელარე-ოსტენდე | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 120 | ადმირა-გრაცერი | 2,35 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,21 | 1,4 |
| 20.00 | 121 | აუსტრია-კერნტენი | 2,0 | 3,6 | 2,0 | 1,28 | 1 | 1,28 |
| 20.00 | 122 | პაშინგი-მატერსბურგი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 20.00 | 123 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 20.00 | 124 | შტურმი-ბრეგენცი | 1,25 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,07 | 2,6 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 137 | შო დე ფონი-ვადუცი | 3,6 | 3,4 | 1,6 | 1,74 | 1,1 | 1,08 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. VIII ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 167 | იორგრიტე-ტრელებორგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. VI ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 169 | სუნდსვალი-ჰამარბი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. VI ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 180 | ფალკენბერგი-გაის | 3,0 | 3,4 | 2,05 | 1,59 | 1,21 | 1,27 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 189 | ვოლერენგა-რუსენბორგი | 3,2 | 3,3 | 2,05 | 1,62 | 1,24 | 1,26 |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 190 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 191 | ტრომსიო-მოლდე | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.00 | 192 | სოგნდალი-ვიკინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 193 | ჰამარი-ფრედრიკსტადი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 21.00 | 194 | ბოდიო გლიმტი-ლინი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 23.05 | 195 | სტაბეკი-ბრანი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 207 | ალესუნდი-ტრომსდალენი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.00 | 208 | ჰაუგესუნდი-ჰიოდი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 21.00 | 209 | ჰიონეფოსი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,6 | 4,0 | 4,2 | 1,14 | 1,15 | 2,04 |
| 21.00 | 210 | კონგსვინგერი-რაუფოსი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 21.00 | 211 | მოსი-ბრინი | 2,0 | 3,4 | 3,1 | 1,25 | 1,21 | 1,62 |
| 21.00 | 212 | სკეიდი-მანდალი | 2,15 | 3,6 | 2,6 | 1,34 | 1,17 | 1,5 |
| 21.00 | 213 | სტარტი-სანდეფიორდი | 1,8 | 3,6 | 3,3 | 1,19 | 1,16 | 1,72 |
| 21.00 | 214 | სტრიომსგოდსეტი-პორს გრენლანდი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 227 | ჰიკ-ჰაკა | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 228 | ჯაზი-ჰაამეენლინა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 20.30 | 229 | ლაჰტი-კტპ | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 20.30 | 230 | იარო-მიუპა | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 20.30 | 231 | ტპ 47-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 20.30 | 232 | ტურკუ-ალიანსი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 266 | ალანია-დინამო | 2,5 | 2,8 | 2,7 | 1,32 | 1,29 | 1,37 |
| 16.00 | 267 | ცსკა-შინიკი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 16.00 | 268 | ყუბანი-კრილია | 3,2 | 2,8 | 2,25 | 1,49 | 1,32 | 1,24 |
| 16.00 | 269 | ლოკომოტივი-ზენიტი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 16.00 | 270 | როსტოვი-სპარტაკი | 3,1 | 2,9 | 2,25 | 1,49 | 1,3 | 1,26 |
| 16.00 | 271 | როტორი-ამკარი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,14 | 1,26 | 1,71 |
| 16.00 | 272 | სატურნი-რუბინი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 16.00 | 273 | მოსკოვი-ტორპედო | 3,6 | 3,0 | 1,95 | 1,63 | 1,26 | 1,18 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 301 | ინტერი-ჟილინა | 2,9 | 3,0 | 2,2 | 1,47 | 1,25 | 1,26 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 316 | ლეჩნა-ვისლა | 5,3 | 3,6 | 1,45 | 2,14 | 1,13 | 1,03 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 317 | ოდრა-გურნიკი | 1,8 | 3,0 | 3,8 | 1,12 | 1,22 | 1,67 |
| 22.00 | 318 | პოლონია-პოლკოვიცე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 319 | სვიტი-ლეხი | 1,6 | 3,6 | 3,0 | 1,1 | 1,04 | 1,63 |
| 22.00 | 320 | კატოვიცე-ამიკა | 2,8 | 2,3 | 2,5 | 1,26 | 1,32 | 1,19 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 321 | გროცლინი-ლეგია | 2,8 | 2,9 | 2,4 | 1,42 | 1,29 | 1,31 |
|  |  | **23 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 322 | ვიძევი-პლოცკი | 2,0 | 3,4 | 2,3 | 1,25 | 1,06 | 1,37 |
|  |  | **უნგრეთი. NB1. XXX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 324 | ბალატონი-ფერენცვაროში | 2,6 | 3,0 | 2,45 | 1,39 | 1,26 | 1,34 |
| 22.00 | 325 | სოპრონი-უიპეშტი | 3,0 | 3,2 | 1,85 | 1,54 | 1,14 | 1,17 |
| 22.00 | 329 | მტკ-დებრეცენი | 2,6 | 3,1 | 2,2 | 1,41 | 1,19 | 1,28 |
|  |  | **მექსიკა. კლაუსურა** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 06.00 | 384 | კრუს ასული-პაჩუკა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
|  |  | **აშშ. MLS. გადადებული მატჩი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 04.30 | 395 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | 2,3 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,24 | 1,42 |
|  |  | **ინგლისი. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **22 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,28 | 4,6 | 10,0 | 1 | 1,13 | 3,15 |
|  |  | **შოტლანდია. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **22 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 410 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
|  |  | **ჰოლანდია. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **23 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 411 | ტვენტე-უტრეხტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
|  |  | **ბელგია. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **23 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 412 | ბევერენი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
|  |  | **ავსტრია. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **23 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.30 | 413 | გრაცერი-აუსტრია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
|  |  | **დანია. თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 414 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
|  |  | **შვედეთი. თასი. III ეტაპი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 415 | ფრისკა-ელფსბორგი | 6,0 | 4,4 | 1,35 | 2,53 | 1,1 | 1,03 |
| 22.00 | 416 | ოპერა-გეფლე | 2,05 | 3,4 | 3,0 | 1,27 | 1,21 | 1,59 |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 417 | იორებრო-მალმიო | 3,1 | 2,2 | 2,1 | 1,28 | 1,25 | 1,07 |
| 21.00 | 418 | ნორჩიოპინგი-კალმარი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,62 | 1,23 | 1,24 |
|  |  | **ხორვატია. თასი. ფინალი. II მატჩი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.15 | 421 | დინამო-ვარტექსი | 1,2 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,05 | 2,95 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **სლოვენია. თასი. ფინალი. I მატჩი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 422 | მარიბორი-დრავოგრადი | 1,2 | 4,6 | 9,0 | [illegible] | 1,05 | 3,04 |
|  |  | **ბრაზილია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 05.45 | 424 | ვიტორია-კორინთიანსი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 05.45 | 425 | ფლამენგო-გრემიო | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
|  |  | **უეფას თასი. ფინალი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 23.45 | 001 | ვალენსია-მარსელი | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
|  |  | **ლიბერტადორესის თასი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 03.30 | 427 | სან პაულუ-ტახირა | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| 05.45 | 428 | სანტოსი-ონსე კალდასი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 03.30 | 429 | რივერ პლეიტი-დეპორტივო | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 05.45 | 430 | სან კაეტანო-ბოკა ხუნიორსი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
|  |  | **ამხანაგური მატჩები** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 451 | საფრანგეთი-ბრაზილია | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
|  |  | **21 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 14.30 | 452 | ავსტრალია-თურქეთი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
|  |  | **თასის აღება** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 23.45 | 7001 | ვალენსია-მარსელი | 1,4 | 2,4 |  |  |  |  |
|  |  | **22 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 7002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,1 | 5,0 |  |  |  |  |
|  |  | **ჰოკეი. NHL** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 06.00 | 1003 | კალგარი-სან ხოსე | 2,1 | 3,5 | 2,7 | 1,31 | 1,18 | 1,52 |
|  |  | **კალათბურთი.ესპანეთი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **20 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 1071 | ტაუ-ესტუდიანტესი | 1,2 | 10,0 | 3,2 | 1,07 | 1 | 2,42 |
|  |  | **21 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 23.30 | 1072 | ბარსელონა-უნიკახა | 1,2 | 10,0 | 3,2 | 1,07 | 1 | 2,42 |
|  |  | **კალათბურთი. საბერძნეთი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 1080 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |
| 23.00 | 1081 | აეკ-მარუსი | 1,55 | 10,0 | 2,0 | 1,34 | 1 | 1,66 |
|  |  | **კალათბურთი. NBA** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **19 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 04.00 | 1094 | მინესოტა-საკრამენტო | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| 5401 | ვალენსია-მარსელი | 1,7 | 2,2 |
| 5402 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,25 | 3,7 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

|  |  | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ვალენსია-მარსელი | 1,7 | 1,9 |
| 5302 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,75 | 1,85 |

### I ტაიმის შედეგი

|  |  |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ვალენსია-მარსელი | 2,4 | 2,0 | 4,4 | 1,09 | 1,55 | 1,37 |
| 5002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,4 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,33 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| 5201 | ვალენსია-მარსელი | 1,6 | 2,0 |
| 5202 | მანჩესტერი-მილუოლი | 2,1 | 1,55 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო |  | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ვალენსია-მარსელი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5102 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 18,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

|  |  | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ვალენსია-მარსელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | მანჩესტერი-მილუოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **12 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| **13 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| **14 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| **15 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| **16 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| **17 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| **18 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| **19 ივნისი** | | | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| **20 ივნისი** | | | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| **21 ივნისი** | | | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| **22 ივნისი** | | | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| **23 ივნისი** | | | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გავა | 6401 ჯგ.ვერ.გავა |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |

## ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი 12.00

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,45 | 1,07 | 1,03 | 1,6 |
| ბარიკელო | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 3,5 | 1,2 | 8,0 |
| კულტჰარდი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| ტრული | 25,0 | 5,0 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 10,0 | 2,3 | 1,15 | 7,0 |
| ბატონი | 6,0 | 1,55 | 1,1 | 4,0 |
| სატო | 35,0 | 7,0 | 1,55 | 20,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 3,5 | 40,0 |
| მასა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| უებერი | 75,0 | 12,0 | 2,3 | 30,0 |
| კლიენი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |


კოკა-კოლა
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა

ფეხბურთი
დავით ყიფიანის თასის ფინალი
დინამო თბილისი
VS
ტორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რატომაც არა?!

## ცსკა გოოგეს საქართველოში მუშაობის უფლებას აძლევს

*როგორც ირკვევა, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უკვე სერიოზულად დაეჭვდა ნაკრების ახლანდელი თავკაცის დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწვრთნელო შესაძლებლობებში და მის შემცვლელს მეზობელ რუსეთში ეძებს. ეს ფაქტი თავად საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატმა, მოსკოვის ცსკა-ს თავკაც დუშან ივკოვიჩის თანაშემწე პაველ გოოგემ დაგვიდასტურა გუშინდელ ინტერვიუში — „თქვენი ფედერაციიდან ჩემი კლუბის გენერალურ დირექტორ სერგეი კუშჩენკოს დაუკავშირდნენ და ჩემთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვეს." გუშინ კი თავად კუშჩენკოს ჩვენც დავუკავშირდით და მისგან შევიტყვეთ, რომ ეს თემა თვით ცსკა-ს პრეზიდენტ ალექსანდრ გომელსკის ყურამდეც მისულა...*

— გავიგეთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან შეგხმიანებიან ჩვენი ნაკრების პაველ გოოგესთვის ჩაბარებასთან დაკავშირებით...

— დიახ, ორი კვირის წინ დამირეკეს და ასეთი კითხვა დამისვეს: წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, საქართველოს ნაკრები პაველ გოოგეს რომ ჩავაბაროთო.

— ვინ დაგირეკათ?

— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარო. სახელი და გვარი ზუსტად არ ვიცი, თუ გინდათ, ჩემს მდივანს დავეკითხები და გიპასუხებთ...

— ჩვენთვის მაგაზე მნიშვნელოვანი ისაა, თქვენ რა უპასუხეთ...

— მე არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ პაველ გოოგემ საქართველოს ნაკრები გაწვრთნას. პირიქით, ეს დიდი პატივია ცსკასთვის, თქვენ ხომ ერთ-ერთი მზარდი და პერსპექტიული გუნდი გყავთ ევროპაში. მარტო ის რად ღირს, რომ 3 კალათბურთელი ნბაში თამაშობს, ევროპაშიც არის არაერთი, ჩვენთანაც ძალიან კრაგი ბიჭი გყავთ — გიორგი ცინცაძე. ასეთ ნაკრებს თუ ცსკა-ს მწვრთნელი ჩაიბარებს, ეს ჩვენი გუნდის პრესტიჟს აამაღლებს.

— ეს მხოლოდ თქვენი აზრია, თუ ცსკა-ს სხვა ხელმძღვანელებიც ასევე ფიქრობენ?

— რა თქმა უნდა, ყველა ასე ფიქრობს. გოოგეს საქართველოში წამოსვლის შესაძლო ვარიანტის შესახებ ცსკა-ს პრეზიდენტმა ალექსანდრ გომელსკიმაც იცის და არც ისაა წინააღმდეგი.

— როგორც ვიცით, არც თავად გოოგე უნდა იყოს წინააღმდეგი. იგი კარგად იცნობს ქართულ კალათბურთს და სიმპათიითაცაა განწყობილი... შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გოოგეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა დროის ამბავია?

— არა, მაგის თქმა ჯერ როგორ შეიძლება, როცა მოლაპარაკებაც არ დაწყებულა. ქართულმა მხარემ მხოლოდ იკითხა, გამოუშვებთ თუ არა, გოოგესო. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრთავთ მას საქართველოში წამოსვლის ნებას, თუ ცსკა-ში საქმიანობაში ხელი არ შეეშლება.

— უფრო კონკრეტულად?

— ცსკა-ს ძალიან გადატვირთული სეზონი ელის. ევროლიგის ოთხთა ფინალს ვმასპინძლობთ, აგრეთვე ჩვენთან „იუტა ჯაზი" ჩამოდის. მოკლედ, გოოგე ჩვენც ძალიან დაგვჭირდება, მაგრამ შესაძლებელია, ისეთი გრაფიკის შედგენა, რომ მან პარალელურად საქართველოს ნაკრებსაც უხელმძღვანელოს. ეს უკვე საქართველოს ფედერაციის მოსაგვარებელი პრობლემაა. ხომ გითხარით, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი. პოლიტიკური პრობლემა არ არსებობს, თანამშრომლობის სურვილი ორივე მხარეს აქვს, მხოლოდ ტექნიკური მხარეა მოსაგვარებელი — სამუშაო გრაფიკი და ვადები... ფინანსებიც, რა თქმა უნდა. ცსკა თანახმაა, გოოგე



ცსკა-ს შეფებმა სერგეი კუშჩენკომ და ალექსანდრ გომელსკიმ პაველ გოოგეს საქართველოში პარალელურად მუშაობის ნება დართეს

მომავალ ზაფხულს დროებით გაათავისუფლოს კლუბიდან, თუ ის საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებს.

— რა იყო ქართული მხარის ბოლო სიტყვა, სურთ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა?

— არ ვიცი, მე საქართველოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ჩვენი კლუბის პოზიცია უკვე გავაცანი, დანარჩენი მათზეა. კიდევ როდის დარეკავს, არ უთქვამს, ჩვენი პოზიცია მოისმინა და კეთილად დამემშვიდობა.

**ირაკლი ბერტაია**



# რაგბი შეყვარებულებისთვის

## ფული გაქვთ, მაგრამ მოცემა არ გიყვართ



ნინო ლეჟავას ფოტო

თბილისის შვიდკაცას ორგანიზატორები ალან მაიო და ბესო გოცაძე პრიზითურთ

კარგა ხანია მივეჩვიეთ: სანაკრებო რაგბი ჩვენში თებერვალ მარტში იმართება, მაგრამ წლეულს ზაფხულიც რაგბიანი გვექნება. ჩვენს ბორჯღალოსნებთან სარკენად სამხრეაფრიკელი მქშინავი „ხარები" ჩამოვლენ, მაგრამ მანამდე თბილისმა 7-კაცა რაგბის ტურნირს უნდა უმასპინძლოს.
საქართველოში შვიდკაცას საერთაშირისო ფესტივალი პირველად შარშან გაიმართა და ტრადიცია წელსაც გრძელდება. 12-13 ივნისს თბილისში „ლოკომოტივზე" 10 ნაკრები ითამაშებს — საფრანგეთი, მოლდავეთი, ბულგარეთი, შოტლანდია, შვეიცარია, ანდორა, ისრაელი, რუმინეთი, უკრაინა და საქართველო. თბილისის შვიდკაცა ევროპისა და მსოფლიოს შესარჩევი ეტაპია, ასე რომ, ვთქვათ, საფრანგეთისა და შოტლანდიის დარი სერიოზული ნაკრებები აქ მხოლოდ დროის გასატარებლად არ ჩამოვლენ. ევროპის ჩემპიონატი კი აგვისტოში ესპანეთის ბალეარის კუნძულებზე გაიმართება, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატი 2005 წელს ჰონკონგში.
საქართველოს რაგბის კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ ტურნირის ორგანიზება ძველ და „ნაცად კადრს", ფრანგ ალან მაიოს მიანდო — ტურნირის დირექტორი იგი გახლავთ, ხოლო მენეჯერი ბესო გოცაძე იქნება. „ჩალიჩა" და საქმიანად ფუსფუსა მაიო შარშანდელ გამოცდილებას ეყრდნობა და გვპირდება, რომ ტურნირი სპორტული კუთხითაც კიდევ უკეთესი სანახავი იქნება და გაცილებით ლამაზადაც გაფორმდება. ამ სარაგბო დღესასწაულს ბავშვთა ტურნირიც დაემატება.
ალან მაიო კარგა ხანია საქმეს შეუდგა. შეიძლება ითქვას, ჩვენთან საუბარიც მისი საქმიანობის ნაწილია

— მუსიე ალან, თავდაპირველად ჩვენი ქვეყნისათვის პრობლემურ საკითხებზე გვინდა გკითხოთ: ამ დონის შეჯიბრებაში ყველგან არის საპრიზო ფონდი. თბილისის შვიდკაცაში თუ გათამაშდება თანხები?

— არა, რადგან საქართველოში ფული ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. პირდაპირ ვიტყვი, აქ ფული არის, მაგრამ მოცემა არავის უნდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა დაინტერესდება ჩვენით, მათგან მეტ ყურადღებას ველით. ჩვენი ფესტივალი VIP-ს ტურნირებში შედის, როგორებიც არიან ჰონკონგის, ანდორას, ჰაინიკენის, ეარ-ფრანსის შვიდკაცა რაგბის ტურნირები. აქ საქართველოს პრესტიჟზეა საუბარი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ღირს მთავრობის შეწუხება. მერიის ძველ ხელმძღვანელობას არც აინტერესებდა არაფერი. როდესაც „ჯიქები" წავიყვანეთ საფრანგეთში, მათ ერთი თეთრიც არ გამოგვიყვეს. ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ ახალ მთავრობაზე.

— ბიზნესმენები აქ არ დებენ სპორტში ფულს?

— არა, რაც ძალიან გასაკვირია.

— საფრანგეთში როგორ ხდება თანხების მოზიდვა?

— საფრანგეთში ბიზნესმენები დაინტერესებულნი არიან სპორტით, რადგან ისინი რეკლამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მეტიც, იქ ბიზნესი სწორედ ჯანსაღი რეკლამით სულდგმულობს. სპორტული კლუბებიც რეკლამებით არსებობენ. თუ ფული არა აქვს კლუბს, ის კვდება. ამიტომაც ვშიშობ, საქართველოში მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე რაგბი დიდხანს ვერ გასტანს.

— მონაწილე გუნდები როდის ჩამოდიან?

— 11 ივნისს. მათ სასტუმრო „სიმპათიაში" განვათავსებთ და კიდევ რამდენიმე სასტუმროსთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ბოლოს ტრადიციულ გაცილებას მოვაწყობთ — ტურნირი მესამე ტაიმით ანუ დიდი ბანკეტით დასრულდება.

— თბილისელებს შეჯიბრის გახსნაზე უთუოდ რაიმე სიურპრიზებს მოუწყობთ...

— ტურნირი საზეიმოდ გაიხსნება და გახსნის ცერემონიალში სერიოზული მუსიკოსები მიიღებენ მონაწილეობას.

— სარეკლამო კამპანია უკვე დაიწყეთ...

— კი, რა თქმა უნდა. კვირის ბოლოს ქალაქში პირველი ბილბორდები გამოჩნდება, შემდეგ კი ყველა სახის რეკლამას მივმართავთ, რათა ყველამ გაიგოს, რა არის შვიდკაცა რაგბის ფესტივალი.

— ბილეთები როდის გაიყიდება?

— ბილეთების რეალიზაცია უახლოეს მომავალში დაიწყება, თავდაპირველად საფრანგეთის კულტურის ცენტრში, რომელიც გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ფასები ნორმალური იყოს — 2-დან 8 ლარამდე, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია. მინდა, გითხრათ ისიც, რომ ტურნირზე რამდენიმე სანახაობას შევთავაზებთ რაგბის გულშემატკივარს.

„ლოკომოტივის" სტადიონს შეუძლიათ, მთელი დღით ეწვიონ თუნდაც წყვილები, რომლებიც ქალაქში სეირნობის ნაცვლად მყუდროდ დასხდებიან და ბრწყინვალე სანახაობასაც ნახავენ. ტურნირი A კლასისაა და ამიტომაც ყველაფერი სათანადოდ გვინდა გავმართოთ. გვეხმარებიან საელჩოები, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი წამოწყებისადმი, რაზეც მათ მადლობას ვუხდი.

— იქნება გაგვიმხილოთ, რა გიჯდებათ მთელი ეს სიამოვნება?

— სამოცდაათიათასი ევრო.

— თასიც საკმაოდ ორიგინალურია...

— ყველას ძალიან მოსწონს ჩვენი გარდამავალი თასი. დიდი იმედი მაქვს, მას საქართველოს ნაკრები დაეუფლება.

— ვხედავ, თასს შუაში აწერია, სპორტი დოპინგის გარეშეო... ამის თაობაზე რას გვეტყოდით?

— დოპინგ-კონტროლი ყველა სერიოზულ ტურნირზე აუცილებელი პროცედურაა.

— ჩვენთანაც იქნება? როგორც ვიცი, საქართველოში არ გვაქვს ის ელემენტარული ტექნოლოგიები, რომ სპორტსმენი დოპინგზე შემოწმდეს. როგორ ჩაატარებთ ანალიზებს?

— ფირა-აერიდან ჩამოდიან სპეციალისტები და ადგილზე, შარდის ანალიზის მეშვეობით გაისინჯება ყველა სპორტსმენი.

— გულახდილად მითხარით, საქართველოს ნაკრებს რა შანსები აქვს?

— აქ საკმაოდ ძლიერი გუნდები ჩამოდიან, თუნდაც საფრანგეთის ნაკრები ავიღოთ, თუმცა მათ არც ქართველები ჩამოუვარდებიან. ვფიქრობ, ჩვენს ბიჭებს ყველა შანსი აქვთ, რომ მსოფლიო რეიტინგით შვიდკაცა რაგბიში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრონ.

**ნინო ლეჟავა**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. I ტური

# საიდანღაც ბურთი გამოფრინდა

## საქართველოში ფრენბურთი ცოცხლდება




ბადრი ქეთილაძის ფოტო

თბილისი. სპორტის სასახლე 18 მაისი

### საქართველო 2:3 შვედეთი

25:21 25:22 12:25 21:25 10:15

**საქართველო:** ნახიანი, მეტრეველი, აირაპეტიანი, ჯიოშვილი, დავითულიანი, არველაძე, გერლიანი, ბუდაგოვა, ვაშაკიძე, ღვინჯილია, ძივძივაძე, საათაშვილი

**შვედეთი:** სანდლერი, სურიალი, რუნმაკი, მილდი, გუსტაფსონი, მოლინი, მაგნუსონი, ვალსტრიომი, ენლენდი, პერსონი

**მსაჯები:** ვიქტორ მარკოვი, ოლეგ ლუკინი (ორივე რუსეთი)



ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოში სპორტის მივიწყებული სახეობა ცოცხლდება. შეიძლება ფრენბურთის ძველ გულშემატკივრებს გასახსენებელი ბევრი ჰქონდეთ, მაგრამ ახალგაზრდა თაობას დასამახსოვრებელი ჯერ არაფერი უნახავს: დამოუკიდებლობის თხუთმეტწლოვან ისტორიაში ეროვნული ნაკრებები საერთოდ არ შეკრებილან და ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ახლაღა იდგმება — გამოჩნდა ქალთა ნაკრები, რომელიც რეალურად ახალგაზრდა გოგონების ნაკრებია.

გუშინ სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში ქვეყანაში არსებული ორად ორი კლუბის ბაზაზე დაკომპლექტებულმა ნაკრებმა შვედეთს უმასპინძლა. შეხვედრა ლამის ორ საათს გაგრძელდა და ჩვენი გუნდის მარცხით დასრულდა. საქართველომ პრაქტიკულად მოგებული თამაში წააგო და სპორტის სასახლეში შეკრებილთ გული დასწყვიტა, თუმცა ორი საათით ადრე ვინმეს რომ ეთქვა, ჩვენი გამოუცდელი გუნდი ევროპის ჩემპიონატებს გაჩვეულ შვედებს დაძაბულ ბრძოლას გაუმართავს და ორ სეტს აართმევსო, არასერიოზული კაცის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

დარბაზში გუნდების გამოჩენამ პესიმისტური განწყობა კიდევ უფრო გაამყარა. ტანკენარი შვედები სპორტული აღნაგობით აშკარად აღემატებოდნენ მასპინძლებს. ამას გამოცდილებაში სხვაობაც დაუმატეთ და ქომაგის წინასამატჩო პროგნოზსაც მიხვდებით.

ჩვენი ერთადერთი უპირატესობა საკუთარი კედლებია და გულშემატკივრის მხარდაჭერით ფრთაშესხმულები მოედანზე სულსა და გულს დავდებთო — ამბობდნენ თავად ფრენბურთელები. შეასრულეს კიდეც პირობა. პირველი ხელის მოგების შემდეგ უფრო გააქტიურდნენ და მეტოქეს თითქმის მოგებული მეორეც შემოუტრიალეს. დიდ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, მაგრამ მოულოდნელად უპირატესობამ განიავება იწყო. შვედებმა მომდევნო სამ სეტში ქართველთა შეცდომები მაქსიმალურად გამოიყენეს და პროგნოზიც გაამართლეს.

მიუხედავად მარცხისა, საქართველოს ნაკრების თამაშის შემხედვარეთ უიმედობის საბაბი ნამდვილად არა გვაქვს. გუნდი, რომელმაც თავისი პირველი დიდი შეხვედრა ასეთ დონეზე ჩაატარა, ამავ შვედეთს ახლო მომავალში აუცილებლად აჯობებს.

გუშინდელი თამაშის [illegible] უფასო იყო [illegible] წუთების [illegible] მიუხედავად მაინც კმაყოფილი დარჩა. გულშემატკივრობა კი გამორჩეული იყო. გოგონების მხარდასაჭერად საქართველოს პირველი ქალბატონი სანდრა რულოვსიც მივიდა ვაჟთან ერთად და ჩრდილოეთ ტრიბუნაზე რიგით ქომაგებში მჯდომმა ხუთჯვრიანი დროშაც აფრიალა. წარმატებით ჩამთავრებული პირველი ორი ხელის შემდეგ იგი გოგონების გასამხნევებლად ჩავიდა და ქართული ფრენბურთის თავკაცისგან ნაკრების მაისურაც მიიღო საჩუქრად.

ამ დროს უკვე ქართველების გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. საბრძოლო შემართება და მეტოქის დაბნეულობა საბაბს ნამდვილად იძლეოდა, მაგრამ...

**ოთარ მაღლაკელიძე**




ბადრი ქეთილაძის ფოტო

## ნათქვამია

**ისმო პელტოარვო,** შვედების მწვრთნელი: „ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თამაში მოვიგეთ. საქართველოს ნაკრების მებრძოლმა სულმა გამაკვირვა. ქართველმა გოგონებმა თავიანთი შეუპოვრობით უამრავი პრობლემა შეგვიქმნეს. ასეთი ჩამორჩენა შემოვატრიალეთ და მართალი არ ვიქნები ჩვენს თავდადებაზეც რომ არ ვთქვა. დღეს საქართველო და შვედეთი ერთ დონეზე დგანან. ჯგუფის ფავორიტებად კი ხორვატია და სლოვენია მიმაჩნია.

**სოფია მოლინი,** შვედების კაპიტანი: „გამარჯვებამ, რა თქმა უნდა, გამახარა. ასეთი მებრძოლი გუნდის ძლევა ყოველთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა. თქვენი ნაკრებიდან მეათე ნომერი (ზემფირა ბუდაგოვა) მომეწონა, ყველაზე მეტად კი სასწაულად ემოციურმა მაყურებელმა აღმაფრთოვანა."

**ნუგზარ მიქაძე,** ქართველების მწვრთნელი: „თამაშის ასე კარგად დაწყებამ რეალობის შეგრძნება დამაკარგვინა. ცხადია, გულდასაწყვეტია, რომ წავაგეთ, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დიდი ფრენბურთის თამაში შეგვიძლია. ბევრი შრომითა და გამოცდილების მიღებით დავამტკიცებთ, რომ სხვაზე ნაკლებნი არ ვართ. 2:0 დაწინაურების შემდეგ წაგება გამოუცდელობის ბრალია — გამარჯვებაზე ფიქრი ნაადრევად დავიწყეთ. მეტოქემ კი ყველა ბერკეტის გამოყენება შეძლო. გულშემატკივარს დიდი მადლობა. მათი დახმარებით ფრენბურთის პოპულარობა გაიზრდება, ჩვენი ნაკრები კი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება."

**მარიკა გერლიანი,** ქართველების კაპიტანი: „ამხელა მნიშვნელობის თამაში პირველად ჩავატარეთ და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოუცდელობამ დაგვალალატა. ეს მარცხი უფრო შეგვკრავს, ძალას შეგვმატებს და გამარჯვებებიც მოვა."



ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი. ანთალია. 14-31 მაისი

III ტური

| | |
|---|---|
| ბაადურ ჯობავა (საქართველო) — არტაშას მინასიანი (სომხეთი) | 1:0 |
| ზვიდ იზორია (საქართველო) — პრედრაგ ნიკოლიცი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) | 0,5:0,5 |

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*

# ზოგჯერ სომეხთან დათმობაც მომგებიანია

ახალგაზრდა ბაადურ ჯობავა სამი მოგებით ევროპის ჩემპიონატის ცხრილის სათავეში მოექცა. ქართველის მსგავსად ასევე სამი ქულა აქვს დავიდ ნავარას, თუმც ჩეხი მოჭადრაკე დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება ქართველს.

ჯობავამ თავისი მესამე გამარჯვება მინასიანთან გააზერხა, პარტიაც საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

ქართველმა თავიდანვე ცენტრიდან შეუტია და უპირატესობაც მალე მოიპოვა — **h** ხაზზე მდგარი პაიკი წინ გაუშვა. მინასიანმა — რაკი ქართველზე ცუდი პოზიცია ჰქონდა — საჭიროდ არ ჩათვალა მოიერიშე ფიგურის აყვანა და ამის გამო შემდეგ ძლიერ ინანა. სომეხმა თეთრ პაიკს გზა გადაუღობა, ყურადღება ცენტრში გადაიტანა და ორთაბრძოლებიც დაიწყო. შეტაკებებში უპირატესობას კვლავ ქართველი დაეუფლა და 26-ე სვლაზე **e** ხაზზე ლაზიერი ორ ეტლთან ერთად გაამაგრა. მინასიანს მათ შესაკავებლად კვლავ დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა. მან ჭკუითა და სტრატეგიით ქართველს ვერ აჯობა და კუ დაკარგა. 33-ე სვლაზე ჯობავამ **h** ხაზზე მდგარი პაიკის გაყვანა კვლავ წამოიწყო, მისთვის გზის გასასუფთავებლად კი მეტოქეს მხედარი დაუთმო და მიზანს მალე უწია. ოთხიოდე სვლაში თეთრი პაიკი ქართველმა ლაზიერად აქცია და ამით პრაქტიკულად პარტიის ბედიც გადაწყვიტა. 41-ე სვლაზე მინასიანის მეფემ თეთრი ალამი გამოკიდა.

ზედიზედ მეორე ყაიმი ითამაშა ზვიად იზორიამ. მისი მეტოქე ჩემპიონატზე მეექვსე ნომრად განთესილი ნიკოლიცი იყო. პარტია საკმაოდ მალე, 12 სვლაში დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 3 ქულა |
| 2 | დავით ნავარა (ჩეხეთი) | 3 |
| 3 | ვადიმ მილოვი (შვეიცარია) | 2,5 |
| ... | | |
| 17 | ზვიად იზორია (საქართველო) | 2 |



ზვიად იზორია



REUTERS ზანქტ პოილტენიდან

ირაკლი ლაბაძემ ავსტრიაში თამაში პირველივე წრეში დაასრულა

# აგასი გაოცებასაა
## ანდრეს ამის 333 მიზეზი აქვს

**INTERNATIONALER RAIFFEISEN GRAND PRIX**
ზანქტ პიოლტენი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი ევრო

**პირველი წრე**

ჯულიან ნოული (ავსტრია) — ირაკლი ლაბაძე (4, საქართველო) 7:5, 4:6, 6:2; ნენად ზიმონიჩი (სერბეთი) — ანდრე აგასი (1, აშშ) 6:2, 7:6 (8:6); ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2, 6:0; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:5, 7:6 (7:3); მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 7:5, 6:0; უგო არმანდო (აშშ) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:4, 6:3

წლევანდელი როლანგაროსობისთვის შესახურებლად ზანქტ პიოლტენში ჩასულ ანდრე აგასის პირველსავე წრეში ზორბა იმედგაცრუება ხვდა წილად. უსახელო სერბმა ნენად ზიმონიჩმა, რომელიც მსოფლიო რეიტინგსიის 339-ე საფეხურზე დგას და აქამდე ძირითადად წყვილად ბურთაობას არჩევდა ხოლმე, თავისზე 333 საფეხურით მაღლა მდგომ ამაგდარ ბაბუს საათსა და 26 წუთში აჯობა.

34 წლის ჯადო ანდრანიკისთვის ზიმონიჩთან პაექრობას სატურნირო წინსვლის გარდა სხვარიგი დატვირთვაც ჰქონდა — საამმომენტოდ ის მარაგში 799 მოგებას მოიძევს და ამდენად ყოველ მატჩში „საიუბილეო“ მე-800 გამარჯვებისთვისაც იბრძვის. პირველ ჯერზე მას ზეიმი არგენტინელმა აგუსტინ კალიერიმ ჩაუშხამა, როცა 30 მარტს მაიამობის მეოთხე წრეში სძლია. ახლა კი სვიანი კარიერისას ოთხივე სლემტურნირის მომგებ დიად არმენოამერიკელს ხასიათი და საროლანგაროსო მინიმზადებაც ვიღაც რეიტინსგიის მესარდაფემ წაუმურდლა, ვინაც წლეულს თავის პირველ საეიტიპიო საერთეულო მატჩს ატარებდა.

ჩემზე გაოცებული ახლა არავინაარ, იძახდა ნამატჩევს აგასი, მისი უსახელო მძლეველი კი — როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე — ოცნების აღსრულებაზე საუბრობდა.

ტურნირი პირველივე წრეში დაამთავრა მეოთხე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ. იგი კვალიფიკანტ ავსტრიელ ჯულიან ნოულს სამსეტიან დაძაბულ თამაშში შეეჩოგნა და პირველი სეტის წაგების შემდეგ ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა, თუმც მესამე სეტი 2:6 დათმო და მეორე ეტაპზეც ავსტრიელი გაუშვა.

**ლევან ძელაურაძე**

# ქართულმა ჩოგბურთმა ტანი აიყარა

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ორგანიზებით სერბეთში, ნოვი სადში 24 აპრილიდან 9 მაისამდე აღმოსავლეთ ევროპის 16 ქვეყნის 64 ჩოგბურთელი გოგო-ბიჭი შეიკრიბა. მონაწილეთა მთავარი მიზანი ორი ტურნირის ჯამში ექვსეულში მოხვედრა იყო. ვინც ამას შეძლებდა, ITF-ს ერთგვარ რჩეულთა ნაკრებში შევიდოდა და ამ ფედერაციისაგან წამახალისებელ ჯილდოს, 2500 ევროს იღებდა.

ნაკრების მწვრთნელმა კოკა კორძახიამ სერბეთში თათია მიქაძე, სალომე ჩაჩხუნაშვილი, გიორგი ხრიკაძე და გიორგი კორძახია იახლა. მიქაძე და ხრიკაძე ექვსეულში მოხვდნენ. 15 წლის გიორგი ხრიკაძემ ამ წარმატებით 16 წლამდელთა რეიტინგში მე-18 ადგილზე აინაცვლა და წლის ბოლომდე კიდევ უფრო წინ წასვლასაც გეგმავს, მანამდე კი ორი წლით უფროსებშიც მოსინჯავს ძალას.

„6 ივნისს უკრაინაში მივდივარ, სადაც 18-წლამდელთა სამ ტურნირში ვითამაშებ — გვითხრა ხრიკაძემ — ამ ასაკში აქამდე ერთხელ მიასპარეზია, თებერვალში ალჟირში რვა საუკეთესოში მოვხვდი და პირველი საკვალიფიკაციო ქულებიც მივიღე. ამჟამად 18-წლამდელთა კლასიფიკაციაში 900-ეულში ვარ. ჩემს ასაკში კი წლის ბოლომდე ორი სერიოზული ტურნირი მელის. სექტემბერში ვენაში ევროპის ჩემპიონატისთვის ჩავალ, წლის ბოლოს კი ამერიკული „ორანჯ ბოულია“.



გიორგი ხრიკაძე



# ბომბა და ლუდი
## ძირს იარაღი: ტერორისტების ლოზუნგი

**შარშან** სექტემბრიდან მოყოლებული ათენში რამდენიმე აფეთქება მოხდა, მაგრამ თავად ამფეთქებლები დღემდე უცნობნი დარჩნენ.

ერთი აფეთქების ხმა, როგორც ვიუწყებოდით, გასულ კვირასაც გაისმა ათენის ერთ-ერთ რაიონ ვალითეაში. ამფეთქებელთა ვინაობა ახლახან გაცხადდა. ისინი აღმოჩნდნენ საბერძნეთის ექსტრემისტული დაჯგუფება „რევოლუციური ბრძოლის“ წევრები. ყოველ შემთხვევაში, გასული კვირის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა სწორედ ამ ორგანიზაციამ აიღო.

როგორც ტერორისტები ამბობენ, მათ ამ აფეთქებით გამოხატეს პროტესტი ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გაზრდილ... უხიფათობის ღონისძიებებზე.

აღმოჩნდა, რომ ამავე ორგანიზაციას აუფეთქებია შარშან სექტემბერში ათენის სასამართლოს ტერიტორია, რის შედეგადაც პოლიციის ოფიცერი დაიჭრა.

„რევოლუციური ბრძოლის“ ლიდერთა განცხადებით, ისინი პროტესტს აცხადებენ საბერძნეთის მილიტარისტულ სახელმწიფოდ და ბალკანეთში ამ ქვეყნის ნატოს ფორპოსტად გადაქცევის თაობაზე, რასაც ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისით ნიღბავენ.

„ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ათენი თითქოს სპორტული ზეიმისთვის კი არა, მსოფლიო ომისთვის ემზადება“ — ამბობენ „რევოლუციური ბრძოლის“ წევრები.

აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ტერორისტთა თავდასხმის მხრივ ყველაზე სარისკონი არიან, ჩამოყვებოდნენ თავიანთი სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვის წევრები, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ საბერძნეთი ამას არ დაუშვებს.

„ჩვენ ასეთ უფლებას არავის მივცემთ, — ამბობს საბერძნეთის საზოგადოებრივი დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ელეფტერიოზ იკონომუ — უხიფათობის დაცვა ჩვენი ამოცანაა და სწორედ საბერძნეთის პოლიცია დაიცავს ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს ათენში. ამა თუ იმ ვითარებაში, როცა რომელიმე სახელმწიფოს ნაკრებ გუნდებს ტერორისტთაგან საშიშროება შეექმნებათ, ჩვენ დამატებით ზომებს მივიღებთ, ოღონდაც საბერძნეთში არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან უცხოეთის უშიშროების შეიარაღებული თანამშრომლები.“

დამატებით ღონისძიებებში იგულისხმება სპორტსმენთა პირადი დაცვა, ოლიმპიელთა ავტობუსების გაცილება ათენის ქუჩებში და დაგეგმილი მარშრუტების საჰაერო დაზვერვა.

აღსანიშნავია, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უხიფათობის დასაცავად 41 ათასი კაცი იყო გამოყოფილი, ახლა კი მათი რაოდენობა 70 ათასამდე გაიზარდა. ამ ძალების ნაწილი მშენებარე ოლიმპიურ ბაზებსაც მეთვალყურეობენ.

მაგრამ საკითხავია, როგორ მეთვალყურეობენ ისინი მომავალ ოლიმპიურ სარბიელებს? ამის გასარკვევად ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ათენის ოლიმპიურ ბაზებზე უხიფათობის საკუთარი „ინსპექცია“ ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტმა ლაურა პიკმა სულ იოლად შესძლო მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე შეღწევა, სადაც ოლიმპიადის გახსნა-დახურვის საზეიმო ცერემონიალებიც უნდა გაიმართოს.

„მე გაოცებული დავრჩი იმით, თუ რა იოლად შევაღწიე სტადიონზე. არადა, ეს ადგილი მთელ დედამიწაზე უახლოეს თვეებში ერთ-ერთი ყველაზე დაცული ობიექტი უნდა იყოს — ამბობს ბრიტანელი ჟურნალისტი — იმის ნაცვლად, რომ სტადიონიდან დაუყოვნებლივ გამოვეძევებინე, ერთ-ერთმა დარაჯმა ლუდიც კი შემომთავაზა, მერე კი ჩემი გიდობაც იკისრა. მეტიც, მან სპეციალურად შეარჩია ისეთი მარშრუტი, რათა არ გადავყროდით საპოლიციო პატრულს, რომლებიც სტადიონს ყოველ 25 წუთში გარს უვლიან.“

**ავთანდილ ჭყვიშელი**



NHL

**პლეი ოფი. მეორე წრე**

# შინგაუხარელნი

17 მაისი

**დასავლეთი**

**სან ხოსე 2:3 კალგარი**

**სან ხოსე 0:3 კალგარი**
*0:2 0:1 0:0*
0:1 იგინლა (7), 0:2 ნილსონი (9), 0:3 კონროი (33)

„საშინაო კოშმარები“ გრძელდება. ძნელი ასახსნელია, რატომ, მაგრამ ორივე გუნდს წამებად ექცა შინ თამაში. წინა მატჩში „სან ხოსე“ კალგარიში ორგანიზებული და თავდაჯერებული გუნდი იყო, მაგრამ.. შინ „ეიჩ პი პავილიონში“ საკუთარი ქომაგის თვალწინ მშიშარა, მფრთხალ მოთამაშეთა კრებულად იქცა. სანხოსელები კანკალებდნენ, შეცდომა არ დავუშვათო და მაინც ცდებოდნენ. მასპინძლებს მე-7 წუთზევე მიეცათ ანგარიშის გახსნის საშუალება, როცა „კალგარის“ მცველმა მაიკ კომოდორმა ორწუთიანი ჯარიმა მიიღო, მაგრამ მათ მეტოქის ზონაში შაიბა დაკარგეს და ჯერომ იგინლამაც არ დააყოვნა, პირდაპირ ევგენი ნაბოკოვისკენ გაფრინდა, რომელიც რატომღაც ნაადრევად გაიშხლართა ყინულზე — იგინლასაც კიდევ უფრო გაუიოლა საქმე.

სულ რაღაც წუთნახევარში მასპინძელთა დაცვა კვლავ შეცდა. ვილე ნიემინენმა პასი გადააწოდა მარკუს ნილსონს და. ამანაც აუღელვებლად დაურტყა ნაბოკოვს აუღებელი შაიბა. ყველაფერ ამას კი ოთხი გაშეშებული სანხოსელი რაიდენიმე მეტრით უკნიდან ადევნებდა თვალს.

ამრიგად, ისევე როგორც სერიის პირველ მატჩში, საწყის პერიოდში ანგარიში 2:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ. თუმც მასპინძლებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ მატჩის ხსნის იმედი, მათაც ჰქონდათ ორჯერ საუცხოო მომენტი, ორჯერვე ალექსანდრ კოროლიუკი უტევდა — ერთხელ შაიბა კარის ხაზზე გაჩერდა, მეორე კი ძელს მოხვდა. თან აქამდე „სან ხოსე“ მეორე პერიოდს ჩინებულად ატარებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კალგარელებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს წინა მატჩების შემდეგ და ამჯერად მეტოქეს გასაქანი არ მისცეს. სტუმართა დაცვა კართან ახლოს არავის უშვებდა, ხოლო შორიდან დარტყმებს მეკარე მიიკა კიპრუსოფი იოლად უმკლავდებოდა. საბოლოოდ კრეიგ კონროიმ „სან ხოსეს“ დაცვის კიდევ ერთი შეცდომა გამოიყენა და 33-ე წუთზე თამაშმა აზრი დაკარგა.

„წარმოდგენა არა მაქვს, რა დაგვემართა. ეს ერთი და ორი მოთამაშის კი არა, მთელი გუნდის ჩავარდნა იყო. ცხადია, მეტოქესაც საკადრისი უნდა მივუზღოთ, მაგრამ ფაქტია, დღეს თავადვე დავიცხრილეთ ფეხები“ — ასეთი იყო სანხოსელთა თავკაცის რონ უილსონის კომენტარი.



ამ სერიაში ჯერჯერობით სტუმართა ქომაგები ხარობენ

# ფიფას ფული

ფიფა ასი წლისაა და სამხრეთ კორეის ზარაფხანას ფრანგული, ბრაზილიური, შვეიცარიული და ურუგვაული სიმბოლიკით მოუჭრია ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ოქროს მონეტები საკოლექციოა და გვარიანი ფასიც ღირს.



REUTERS სეულიდან





REUTERS მადრიდიდან

# პირდაპირ წყალში

გერმანელი ბრიტა კამრაუ ცურვის სტაიერია. მადრიდის ახლოს მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მან ხუთ, ათ და ოცდახუთ კილომეტრზე გაცურვები მოიგო. დაქანცულ ჩემპიონს ბოიფრენდი პირდაპირ წყალში ჩაუხტა მისალოცად.

# ცხრა საათი

ამ ილეთს „ცხრა საათი“ ჰქვია. მოკლე ისარი ცხრიანზეა გაჩერებული, გრძელი თორმეტზე. გრძელი ისარი ესპანელი ედგარ ტორონტერასია, მოკლე მისი მოტოციკლი. მოტოფრისტაილი ბარსელონაში, წმინდა ხორდის სტადიონზე გახურებულა



REUTERS ბარსელონიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ისევ ჰოლივუდელები

„ლეიკერსის“ ცქერა, ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში“ სიარული და კალათბურთის სიყვარული ნაჩვევი ამბავია ჰოლივუდში. „ლეიკერსი“ თამაშობს, ამჯერად კი სანახაობას კინოვარსკვლავი ტომ ჰენკსი და მისი ცოლი რიტა უილსონი ესწრებიან.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge